

შპს კავკასუს ონლაინი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის
ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა

2020 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	7
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	8
ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	9
საკუთარი კაპიტალის მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	10

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	11
2. მომზადების საფუძვლები	12
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	15
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა.....	17
5. ძირითადი საშუალებები	23
6. აქტივების გამოყენების უფლება	24
7. სახელშეკრულებო აქტივები	25
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	25
9. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	27
10. კაპიტალი.....	27
11. მიღებული სესხები	27
12. სახელშეკრულებო ვალდებულებები	29
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	30
14. ამონაგები.....	30
15. კომუნიკაციის ხარჯები.....	31
16. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	31
17. სხვა ხარჯები.....	31
18. ფინანსური ხარჯები, წმინდა	32
19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	32
20. პირობითი ვალდებულებები	33
21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	36
22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	36

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება.....	47
---	----

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს კავკასუს ონლაინის დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობას

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ დაგვიკირავეს შპს კავკასუს ონლაინის (შემდგომში კომპანია) და შვილობილი კომპანიების (შემდგომში ჯგუფი) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგების, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი შენიშვნებისგან.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას ჯგუფის თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენი დასკვნის - "მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი" - ნაწილში აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

როგორც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაშია მოცემული ჯგუფი დგას შემდეგი სირთულეების წინაშე:

- 2020 წლის აგვისტოში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თანხმობის გარეშე ფიზიკურ პირ ნასიბ ჰასანოვზე დამატებით გასხვისდა „შპს ნელგადო ლიმიტედში“ ფიზიკური პირის - ხვიჩა მაქაცარიას დარჩენილი წილი (51% - 32,506 აქცია). ამ გარემოებების გამო, ჯგუფს შესაძლებელია შეექმნას ავტორიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები;
- ჯგუფს მიღებული აქვს სესხები საფინანსო ინსტიტუტებისგან. სასესხო ხელშეკრულების მოთხოვნების მიხედვით ჯგუფმა უნდა დააკმაყოფილოს სხვადასხვა ფინანსური და არაფინანსური კოვენანტები. ხელშეკრულების თანახმად კოვენანტების მოთხოვნების შეუსრულებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს ნეგატიური გარემოებები, მათ შორის „ხელშეკრულების პირობების დარღვევა“, რომელიც შესაძლოა გახდეს, ხელშეკრულების შეწყვეტის, მიღებული სესხის ნებისმიერი ნაწილის ან მთლიანი სესხის ძირის, მასზე დარიცხული პროცენტის და სესხებთან დაკავშირებით წარმოქმნილი სხვა გადასახდელების დაუყოვნებლივ გადახდის მოთხოვნის მიზეზი. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი ვერ აკმაყოფილებდა აღნიშნულ მოთხოვნებს;
- 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის ჯგუფის მიერ მიღებული მთლიანი სრული ზარალი შეადგენს 12,210 ათას ლარს. ასევე, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მოკლევადიანი ვალდებულებები (81,927 ათასი ლარი) მნიშვნელოვნად აჭარბებს მოკლევადიან აქტივებს (53,286 ათასი ლარი), დაგროვილი ზარალი კი შეადგენს 51,438 ათას ლარს.

მიუხედავად აღნიშნული სირთულეებისა, ჯგუფის ხელმძღვანელობა მიზანშეწონილად მიიჩნევს „ფუნქციონირებადი საწარმოს“ დაშვებას და ამ დაშვების საფუძველზე წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენას, თუმცა ხელმძღვანელობამ აღნიშნული სირთულეების დასაძლევად ვერ შეძლო საკმარისი აუდიტორული მტკიცებულებების წარმოდგენა თავისი სამომავლო გეგმების გასამყარებლად. ყოველივე ამის შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით იმის განსაზღვრა,

მიზანშეწონილი იყო თუ არა ხელმძღვანელობის მიერ „ფუნქციონირებადი საწარმოს“ დაშვება.

ჯგუფმა 2020 წელს თავის შვილობილ საწარმოში (შპს კავკასუს ქეიბლ სისტემ ბულგარია), რომელიც ფუნქციონირებს ბულგარეთის რესპუბლიკაში, შეცვალა საბუღალტრო პროგრამა და ფინანსურ აღრიცხვაზე პასუხისმგებელი მომსახურე კომპანია. აღნიშნული ცვლილების შემდეგ შვილობილი საწარმოს ფინანსური ინფორმაციის მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა მნიშვნელოვნად განსხვავდება ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკისგან. ასევე შვილობილი საწარმოს მიერ აღრიცხული ოპერაციები და ნაშთები ჯგუფის სხვა კომპანიებთან არ ედრება ამავე კომპანიებში აღრიცხულ ოპერაციებსა და ნაშთებს.

საკითხის კომპლექსურობის გამო, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა არსებული უზუსტობების ეფექტი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, პოტენციური უზუსტობების ეფექტის გავლენა შესაძლოა იყოს არსებითი და ყოვლისმომცველი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის.

ჩვენ ვერ დავესწარიტ ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციას და ვერც ალტერნატიული საშუალებებით დავადასტურეთ ძირითადი საშუალებების ფიზიკური არსებობა, რომელთა საბალანსო ღირებულება ჯამურად კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია 14,090 ათასი ლარის ღირებულებით. შედეგად, ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითად საშუალებებთან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იდენტიფიცირდება ჯგუფის საკუთრებაში არსებული გრძელვადიანი აქტივების - ძირითადი საშუალებების, აქტივების გამოყენების უფლებისა და არამატერიალური აქტივების გაუფასურების ნიშნები. მოცემული თარიღებისათვის ჯგუფს არ აქვს ჩატარებული ზემოთ აღნიშნული აქტივების გაუფასურების ტესტირება, როგორც ეს მოითხოვება ბასს 36-ის „აქტივების გაუფასურება“ მიხედვით. კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ზემოთ აღნიშნული გრძელვადიანი აქტივები წარმოდგენილია 88,576 ათასი ლარის ღირებულებით (2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 98,797 ათასი ლარი). შედეგად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ზემოთ ჩამოთვლილ გრძელვადიან აქტივებთან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება შპს სოფია ქონექტთან (Sofia Connect EAD) არსებულ სახელშეკრულებო აქტივებზე, რომლებიც კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულია 25,264 ათასი ლარის ღირებულებით (2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 20,155 ათასი ლარი). ჯგუფის სააღრიცხვო ჩანაწერების ხასიათიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ შევძელით სხვა ალტერნატიული პროცედურით დაგვედასტურებინა სახელშეკრულებო აქტივები. შედეგად, ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირებების შეტანა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში სახელშეკრულებო აქტივებთან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება შპს სოფია ქონექტის (Sofia Connect EAD) მიმართ არსებულ სახელშეკრულებო ვალდებულებებზე, რომლებიც კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულია 25,003 ათასი ლარის ღირებულებით (2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 21,208 ათასი ლარი). ჯგუფის სააღრიცხვო ჩანაწერების ხასიათიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ შევძელით სხვა ალტერნატიული პროცედურით დაგვედასტურებინა სახელშეკრულებო ვალდებულებები. შედეგად, ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირებების შეტანა კონსოლიდირებულ ფინანსურ

ანგარიშგებაში სახელშეკრულებო ვალდებულებებთან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ მივიღეთ მესამე მხარის დასტურის წერილები სავაჭრო ვალდებულებებზე, რომლებიც კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულია ჯამური ღირებულებით 2,497 ათასი ლარი (2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯამური ღირებულებით 1,148 ათასი ლარი). ჩვენ ვერ შევძელით სხვა ალტერნატიული პროცედურით დაგვედასტურებინა სავაჭრო ვალდებულებები. შედეგად, ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში სავაჭრო ვალდებულებებთან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

2020 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ჯგუფის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებას. იმ მიზეზების გამო, რომლებიც მოყვანილია მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძვლის ნაწილში, ჩვენ ვერ შევძელით მოსაზრების გამოთქმა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ამის გამო კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე, ჩვენი სამუშაო შემოიფარგლებოდა იმით, რომ განგვესაზღვრა შეიცავს თუ არა მმართველობის ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს.

ჩვენი აზრით, მხოლოდ ამ პროცედურებზე დაყრდნობით:

- 2020 წლის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- 2020 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და კონსოლიდირებული ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან შპს კავკასუს ონლაინის და შვილობილი კომპანიების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის “მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი” ნაწილში აღწერილი საკითხების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

14 ივლისი, 2021 წელი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს კავკასუს ონლაინის დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობას

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ დაგვიქირავეს შპს კავკასუს ონლაინის (შემდგომში კომპანია) და შვილობილი კომპანიების (შემდგომში ჯგუფი) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგების, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი შენიშვნებისგან.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას ჯგუფის თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენი დასკვნის - "მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი" - ნაწილში აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

როგორც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაშია მოცემული ჯგუფი დგას შემდეგი სირთულეების წინაშე:

- 2020 წლის აგვისტოში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თანხმობის გარეშე ფიზიკურ პირ ნასიბ ჰასანოვზე დამატებით გასხვისდა „შპს ნელგადო ლიმიტედში“ ფიზიკური პირის - ხვიჩა მაქაყარიას დარჩენილი წილი (51% - 32,506 აქცია). ამ გარემოებების გამო, ჯგუფს შესაძლებელია შეექმნას ავტორიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები;
- ჯგუფს მიღებული აქვს სესხები საფინანსო ინსტიტუტებისგან. სასესხო ხელშეკრულების მოთხოვნების მიხედვით ჯგუფმა უნდა დააკმაყოფილოს სხვადასხვა ფინანსური და არაფინანსური კოვენანტები. ხელშეკრულების თანახმად კოვენანტების მოთხოვნების შეუსრულებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს ნეგატიური გარემოებები, მათ შორის „ხელშეკრულების პირობების დარღვევა“, რომელიც შესაძლოა გახდეს, ხელშეკრულების შეწყვეტის, მიღებული სესხის ნებისმიერი ნაწილის ან მთლიანი სესხის ძირის, მასზე დარიცხული პროცენტის და სესხებთან დაკავშირებით წარმოქმნილი სხვა გადასახდელების დაუყოვნებლივ გადახდის მოთხოვნის მიზეზი. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი ვერ აკმაყოფილებდა აღნიშნულ მოთხოვნებს;
- 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის ჯგუფის მიერ მიღებული მთლიანი სრული ზარალი შეადგენს 12,210 ათას ლარს. ასევე, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მოკლევადიანი ვალდებულებები (81,927 ათასი ლარი) მნიშვნელოვნად აღემატება მოკლევადიან აქტივებს (53,286 ათასი ლარი), დაგროვილი ზარალი კი შეადგენს 51,438 ათას ლარს.

მიუხედავად აღნიშნული სირთულეებისა, ჯგუფის ხელმძღვანელობა მიზანშეწონილად მიიჩნევს „ფუნქციონირებადი საწარმოს“ დაშვებას და ამ დაშვების საფუძველზე წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენას, თუმცა ხელმძღვანელობამ აღნიშნული სირთულეების დასაძლევად ვერ შეძლო საკმარისი აუდიტორული მტკიცებულებების წარმოდგენა თავისი სამომავლო გეგმების გასამყარებლად. ყოველივე ამის შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით იმის განსაზღვრა,

მიზანშეწონილი იყო თუ არა ხელმძღვანელობის მიერ „ფუნქციონირებადი საწარმოს“ დაშვება.

ჯგუფმა 2020 წელს თავის შვილობილ საწარმოში (შპს კავკასუს ქეიბლ სისტემ ბულგარია), რომელიც ფუნქციონირებს ბულგარეთის რესპუბლიკაში, შეცვალა საბუღალტრო პროგრამა და ფინანსურ აღრიცხვაზე პასუხისმგებელი მომსახურე კომპანია. აღნიშნული ცვლილების შემდეგ შვილობილი საწარმოს ფინანსური ინფორმაციის მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა მნიშვნელოვნად განსხვავდება ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკისგან. ასევე შვილობილი საწარმოს მიერ აღრიცხული ოპერაციები და ნაშთები ჯგუფის სხვა კომპანიებთან არ ედრება ამავე კომპანიებში აღრიცხულ ოპერაციებსა და ნაშთებს.

საკითხის კომპლექსურობის გამო, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა არსებული უზუსტობების ეფექტი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, პოტენციური უზუსტობების ეფექტის გავლენა შესაძლოა იყოს არსებითი და ყოვლისმომცველი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის.

ჩვენ ვერ დავესწარით ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციას და ვერც ალტერნატიული საშუალებებით დავადასტურეთ ძირითადი საშუალებების ფიზიკური არსებობა, რომელთა საბალანსო ღირებულება ჯამურად კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია 14,090 ათასი ლარის ღირებულებით. შედეგად, ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითად საშუალებებთან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იდენტიფიცირდება ჯგუფის საკუთრებაში არსებული გრძელვადიანი აქტივების - ძირითადი საშუალებების, აქტივების გამოყენების უფლებისა და არამატერიალური აქტივების გაუფასურების ნიშნები. მოცემული თარიღებისათვის ჯგუფს არ აქვს ჩატარებული ზემოთ აღნიშნული აქტივების გაუფასურების ტესტირება, როგორც ეს მოითხოვება ბასს 36-ის „აქტივების გაუფასურება“ მიხედვით. კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ზემოთ აღნიშნული გრძელვადიანი აქტივები წარმოდგენილია 88,576 ათასი ლარის ღირებულებით (2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 98,797 ათასი ლარი). შედეგად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ზემოთ ჩამოთვლილ გრძელვადიან აქტივებთან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება შპს სოფია ქონექტთან (Sofia Connect EAD) არსებულ სახელშეკრულებო აქტივებზე, რომლებიც კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულია 25,264 ათასი ლარის ღირებულებით (2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 20,155 ათასი ლარი). ჯგუფის სააღრიცხვო ჩანაწერების ხასიათიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ შევძელით სხვა ალტერნატიული პროცედურით დავადასტურებინა სახელშეკრულებო აქტივები. შედეგად, ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში სახელშეკრულებო აქტივებთან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება შპს სოფია ქონექტის (Sofia Connect EAD) მიმართ არსებულ სახელშეკრულებო ვალდებულებებზე, რომლებიც კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულია 25,003 ათასი ლარის ღირებულებით (2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 21,208 ათასი ლარი). ჯგუფის სააღრიცხვო ჩანაწერების ხასიათიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ შევძელით სხვა ალტერნატიული პროცედურით დავადასტურებინა სახელშეკრულებო ვალდებულებები. შედეგად, ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა კონსოლიდირებულ ფინანსურ

ანგარიშგებაში სახელშეკრულებო ვალდებულებებთან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ მივიღეთ მესამე მხარის დასტურის წერილები სავაჭრო ვალდებულებებზე, რომლებიც კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულია ჯამური ღირებულებით 2,497 ათასი ლარი (2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯამური ღირებულებით 1,148 ათასი ლარი). ჩვენ ვერ შევძელით სხვა ალტერნატიული პროცედურით დაგვედასტურებინა სავაჭრო ვალდებულებები. შედეგად, ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირებების შეტანა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში სავაჭრო ვალდებულებებთან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

2020 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ჯგუფის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებას. იმ მიზეზების გამო, რომლებიც მოყვანილია მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძვლის ნაწილში, ჩვენ ვერ შევძელით მოსაზრების გამოთქმა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ამის გამო კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე, ჩვენი სამუშაო შემოიფარგლებოდა იმით, რომ განგვესაზღვრა შეიცავს თუ არა მმართველობის ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს.

ჩვენი აზრით, მხოლოდ ამ პროცედურებზე დაყრდნობით:

- 2020 წლის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- 2020 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და კონსოლიდირებული ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან შპს კავკასუს ონლაინის და შვილობილი კომპანიების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის “მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი” ნაწილში აღწერილი საკითხების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)



შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

14 ივლისი, 2021 წელი

შპს კავკასუს ონლაინი და შვილობილი კომპანიები

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	75,243	84,113
აქტივების გამოყენების უფლება	6	12,357	13,540
არამატერიალური აქტივები		976	1,144
სახელშეკრულებო აქტივები	7	18,131	13,729
საიჯარო მოთხოვნა		860	788
		107,567	113,314
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		516	532
სახელშეკრულებო აქტივები	7	9,459	7,270
საგადასახადო აქტივები		1,513	691
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	28,441	17,135
საიჯარო მოთხოვნა		40	32
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	4,204	4,589
		44,173	30,249
სულ აქტივები		151,740	143,563
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	47,703	47,703
დაგროვილი ზარალი		(51,438)	(27,090)
უცხოური ვალუტის გადანაგარიშების რეზერვი		19,231	7,093
სულ კაპიტალი		15,496	27,706
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	11	-	27,469
საიჯარო ვალდებულებები	6	4,639	4,523
სახელშეკრულებო ვალდებულებები	12	49,008	43,780
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		670	614
		54,317	76,386
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	11	31,489	1,326
საიჯარო ვალდებულებები	6	3,942	3,368
სახელშეკრულებო ვალდებულებები	12	8,817	7,499
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	37,679	26,922
საგადასახადო ვალდებულებები		-	356
		81,927	39,471
სულ ვალდებულებები		136,244	115,857
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		151,740	143,563

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2021 წლის 14 ივლისს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი	_____	რ. კოპალაძე
დირექტორის მოადგილე	_____	ვ. მღებრიანი

10-46 გვერდებზე არსებული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს კავკასუს ონლაინი და შვილობილი კომპანიები

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	75,243	84,113
აქტივების გამოყენების უფლება	6	12,357	13,540
არამატერიალური აქტივები		976	1,144
სახელშეკრულებო აქტივები	7	18,131	13,729
საიჯარო მოთხოვნა		860	788
		<u>107,567</u>	<u>113,314</u>
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		516	532
სახელშეკრულებო აქტივები	7	9,459	7,270
საგადასახადო აქტივები		1,513	691
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	28,441	17,135
საიჯარო მოთხოვნა		40	32
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	4,204	4,589
		<u>44,173</u>	<u>30,249</u>
სულ აქტივები		<u>151,740</u>	<u>143,563</u>
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	47,703	47,703
დაგროვილი ზარალი		(51,438)	(27,090)
უცხოური ვალუტის გადაანგარიშების რეზერვი		19,231	7,093
სულ კაპიტალი		<u>15,496</u>	<u>27,706</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	11	-	27,469
საიჯარო ვალდებულებები	6	4,639	4,523
სახელშეკრულებო ვალდებულებები	12	49,008	43,780
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		670	614
		<u>54,317</u>	<u>76,386</u>
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	11	31,489	1,326
საიჯარო ვალდებულებები	6	3,942	3,368
სახელშეკრულებო ვალდებულებები	12	8,817	7,499
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	37,679	26,922
საგადასახადო ვალდებულებები		-	356
		<u>81,927</u>	<u>39,471</u>
სულ ვალდებულებები		<u>136,244</u>	<u>115,857</u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		<u>151,740</u>	<u>143,563</u>

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2021 წლის 14 ივლისს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



რ. კობალაძე

დირექტორის მოადგილე



ვ. მამბერიანი

10-46 გვერდებზე არსებული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს კავკასიუს ონლაინი და შვილობილი კომპანიები

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები	14	43,583	50,880
სხვა შემოსავალი		204	-
ცვეთა და ამორტიზაცია		(17,576)	(18,653)
კომუნიკაციის ხარჯები	15	(15,158)	(12,892)
ქსელის რემონტისა და შენახვის ხარჯები		(6,776)	(7,384)
ცვლილლება უიმედო და საჭვო მოთხოვნების ანარიცხში		(45)	1,429
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	16	(5,930)	(6,029)
სხვა ხარჯები	17	(6,067)	(5,853)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		(7,765)	1,498
ფინანსური ხარჯები, წმინდა	18	(12,028)	(9,690)
ზარალი საკურსო სხვაობებიდან, წმინდა		(4,555)	(144)
წლის ზარალი		(24,348)	(8,336)
სხვა სრული შემოსავალი			
უცხოური ვალუტის წარსადგენ ვალუტაში		12,138	1,539
გადაანგარიშების ეფექტი			
წლის სხვა სრული შემოსავალი		12,138	1,539
მთლიანი სრული ზარალი		(12,210)	(6,797)

10-46 გვერდებზე არსებული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს კავკასუს ონლაინი და შვილობილი კომპანიები

ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი დაბეგვრამდე		(24,348)	(8,336)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		17,576	18,653
ცვლილება უიმედო და საჭვო მოთხოვნების ანარიცხში	8	45	(1,429)
ფინანსური შემოსავალი	18	-	(1)
სახელშეკრულებო ვალდებულებების ამორტიზაცია	13	(8,970)	(8,267)
სახელშეკრულებო აქტივების ამორტიზაცია		4,430	4,081
ფინანსური ხარჯები	18	12,028	9,691
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული (მოგება)/ზარალი		(5)	14
შემოსავალი ფინანსური იჯარიდან		-	(785)
ზარალი საკუროსო სხვაობებიდან, წმინდა		4,555	144
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		5,311	13,765
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში			
მარაგების შემცირება		14	1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება		(7,955)	4,149
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		2,665	2,793
სახელშეკრულებო აქტივების ზრდა		(1,559)	(3,863)
სახელშეკრულებო ვალდებულებების ზრდა		6,061	-
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებების შემცირება		(87)	(137)
საგადასახადო ვალდებულებების (შემცირება)/ზრდა		(304)	27
საგადასახადო აქტივების ზრდა		(822)	-
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		3,324	16,735
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		3,324	16,735
ძირითადი საშუალებების შეძენა		(4,240)	(2,840)
არამატერიალური აქტივების შეძენა		-	(9)
გაცემული სესხების ზრდა		-	(27)
გაცემული სესხებიდან შემცირება		-	204
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(4,240)	(2,672)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხების გადახდა	11	(1,379)	(37,190)
პროცენტების გადახდა	11	(2,303)	(3,004)
მიღებული სესხების ზრდა	11	-	39,340
კაპიტალის შემცირება	10	-	(9,788)
საიჯარო ვალდებულების ძირი თანხის გადახდა	6	(652)	(741)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		(4,334)	(11,383)
ფულადი სახსრების წმინდა ცვლილება		(5,250)	2,680
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	9	4,589	1,978
ფულადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული მოგება/(ზარალი)		298	(247)
უცხოური ვალუტის წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშების ეფექტი		4,567	178
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	9	4,204	4,589

10-46 გვერდებზე არსებული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს კავკასუს ონლაინი და შვილობილი კომპანიები

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	უცხოური ვალუტის გადაანგარიშების რეზერვი	სულ
31.12.2018		57,491	(18,754)	5,554	44,291
წლის ზარალი		-	(8,336)	-	(8,336)
წლის სხვა სრული		-	-	1,539	1,539
შემოსავალი		-	-	-	-
კაპიტალის შემცირება	10	(9,788)	-	-	(9,788)
31.12.2019		47,703	(27,090)	7,093	27,706
წლის ზარალი		-	(24,348)	-	(24,348)
წლის სხვა სრული		-	-	12,138	12,138
შემოსავალი		-	-	-	-
31.12.2020		47,703	(51,438)	19,231	15,496

10-46 გვერდებზე არსებული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს კავკასუს ონლაინი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს კავკასუს ონლაინი (შემდგომში კომპანია, საიდენტიფიკაციო კოდი - 211380833) დაფუძნდა 2007 წლის 11 ივნისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის იურიდიული მისამართია წინამდგომიშვილის ქუჩა #160, თბილისი, საქართველო.

შპს კავკასუს ონლაინი და მისი შვილობილი კომპანიები (შემდგომში ჯგუფი) დაფუძნებული არიან, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები.

ჯგუფის მფლობელები 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
International Online Networks Limited	63.8%	63.8%
Nelgado LTD	36.2%	36.2%

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის საბოლოო ბენეფიციარი მაკონტროლებელი მფლობელია ნასიბ ჰასანოვი.

შპს კავკასუს ონლაინის შვილობილი საწარმოები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შვილობილი საწარმოს დასახელება	ქვეყანა	მთავარი საქმიანობა	31.12.2020	31.12.2019
შპს კავკასუს ქეიბლ სისტემ ბულგარია (Caucasus Cable System Bulgaria LLC)	ბულგარეთი	სატელეკომუნიკაციო მომსახურება	100%	100%
ნოვასტარ კომერს ლიმიტედ (Novastar Commerce Limited)	ვირჯინიის კუნძულები (ბრიტანეთი)	სატელეკომუნიკაციო გადაწყვეტილებები	100%	100%
- შპს რკინიგზის ტელეკომი (ნოვასტარ კომერს ლიმიტედის 100%-იანი შვილობილი)	საქართველო	სატელეკომუნიკაციო მომსახურება	100%	100%
შპს კარდენახი (Kardenakhi LLC)	საქართველო	არ დაუწყია საოპერაციო საქმიანობა	100%	100%
შპს კავკასუს ქეიბლ სისტემ არმენია Caucasus Cable System Armenia LLC	სომხეთი	არ დაუწყია საოპერაციო საქმიანობა	100%	100%
შპს კავკასუს ონლაინი თიზი (Caucasus Online TIZ LLC)	საქართველო	არ დაუწყია საოპერაციო საქმიანობა	100%	100%
შპს კავკასუს ქეიბლ ტრანზიტ (Caucasus Cable Transit LLC)	საქართველო	არ დაუწყია საოპერაციო საქმიანობა	50%	50%

2008 წლიდან კავკასუს ონლაინი არის Tyco Electronics-ის მიერ აშენებული 1,200 კილომეტრიანი წყალქვეშა ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის ერთპიროვნული მესაკუთრე, რომლის საშუალებითაც ევროპიდან სამხრეთ კავკასიისა და კასპიის ზღვის რეგიონში ინტერნეტის ტრანზიტული მიწოდება ხორციელდება. შავი ზღვის ფსკერზე განთავსებული ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მეშვეობით ევროპიდან აზიისკენ მაღალი ხარისხის ინტერნეტის პირდაპირი მიწოდება გახდა შესაძლებელი.

2010 წელს „საქართველოს რკინიგზის ტელეკომის“ შეძენამ ჯგუფს საშუალება მისცა ოპერირება მოეხდინა მთელს სამხრეთ კავკასიის რეგიონში: საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში, ასევე ირანსა და ერაყში. შედეგად, იგი არის 600 კმ-იანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის და ობიექტებთან დამაკავშირებელი სარკინიგზო მაგისტრალის, ასევე დამოუკიდებელი 600 კმ-იანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურისგან შემდგარი GRT-ის ინფრასტრუქტურის მფლობელი.

შპს კავკასუს ონლაინი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია (გაგრძელება)

ჯგუფის სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა, ევროპიდან კასპიის ზღვისპირა რეგიონში და ევროპაში: ფრანკფურტი, ლონდონი, ბუდაპეშტი, ამსტერდამი, სოფია და კიევი - წარმოდგენილია 3,000 კმ სიგრძის DWDM ქსელისგან და რამდენიმე ფიზიკური და ვირტუალური POPs-გან.

კავკასუს ონლაინი არის საერთაშორისო ორგანიზაცია ICANN-ის მიერ აკრედიტირებული კომპანია, რომელსაც აქვს ავტორიზაცია, განახორციელოს საქართველოსთვის გამოყოფილი ზედა დონის .GE დაბოლოების მქონე დომენური სახელების ადმინისტრატორობის ფუნქცია.

რეგისტრატორის ფუნქცია-მოვალეობებს ასრულებენ კავკასუს ონლაინის მიერ აკრედიტირებული რეგისტრატორები.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა სხვა ინტერნეტ პროვაიდერების და საქართველოში, ბულგარეთსა და სხვა მეზობელ ქვეყნებში კორპორატიული აბონენტების სატელეკომუნიკაციო სერვისებით უზრუნველყოფა. ჯგუფის მიერ მომხმარებლისთვის შეთავაზებული მომსახურების სახეები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- ინტერნეტის მიწოდება ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელით და ISDN ქსელით
- IP ტრანზიტი და ეზერნეტ მომსახურება
- სხვა სატელეკომუნიკაციო ოპერატორებთან დამაკავშირებელი მომსახურებები (სატელეფონო ზარების ტერმინაცია-ტრანზიტი)
- ინტერნეტის მოცულობის გადამცემა
- ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის და სხვა სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის იჯარა (საკომუნიკაციო არხები და სხვა ინფრასტრუქტურა)
- სხვა მომსახურებები, როგორიცაა კოლოკაცია, დომენის რეგისტრაცია და ა.შ.

2. მომზადების საფუძვლები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

წარდგენის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში.

ჯგუფი სააღრიცხვო ჩანაწერებს აწარმოებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ქართულ ლარში. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ჯგუფის სააღრიცხვო ჩანაწერებზე დაყრდნობით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მიხედვით მომზადება ჯგუფის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია 22-ე შენიშვნაში.

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებას. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

- აქვს კონტროლი ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

კომპანია ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი. როდესაც კომპანია ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა.

იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასა და გაზნევასთან შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა სახელმწიფოებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და
- ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანიას ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღება საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორების კრებებზე;

შვილობილი საწარმოების კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც მშობელი კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც იგი კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი საწარმოს შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

შიდაჯგუფური სამეურნეო ოპერაციების შედეგები და ნაშთები, ასევე შიდაჯგუფური ტრანზაქციებით წარმოქმნილი არარეალიზებული მოგება ელიმინირდება კონსოლიდაციის მიზნებისთვის.

ფუნქციონირებადი საწარმო

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის ჯგუფის მიერ მიღებული მთლიანი სრული ზარალი შეადგენს 12,210 ათას ლარს. ასევე, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მოკლევადიანი ვალდებულებები (81,927 ათასი ლარი) მნიშვნელოვნად აღემატება მოკლევადიან აქტივებს (53,286 ათასი ლარი), დაგროვილი ზარალი კი შეადგენს 51,438 ათას ლარს. ჯგუფს აქვს მიღებული სესხი სს თიბისი ბანკისგან. ბანკთან დადებული სასესხო ხელშეკრულების მიხედვით, ჯგუფს მოეთხოვება სხვადასხვა ფინანსური და არაფინანსური კოვენანტების დაკმაყოფილება, რომლებსაც ვერ აკმაყოფილებს. აღნიშნული შესაძლოა გახდეს სასესხო ვალდებულების დაუყოვნებლივ მოთხოვნის საფუძველი გამსესხებლის მხრიდან, ამიტომ, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სასესხო ვალდებულების ნაშთი მთლიანად წარდგენილია, როგორც მოკლევადიანი.

2020 წლის აგვისტოში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თანხმობის გარეშე ფიზიკურ პირ ნასიბ ჰასანოვზე დამატებით გასხვისდა „შპს ნელგადო ლიმიტედში“ ფიზიკური პირის - ხვიჩა მაქაცარიას დარჩენილი წილი (51% - 32,506 აქცია). ამ გარემოებების გამო, ჯგუფს შესაძლებელია შეექმენას ავტორიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები.

გარდა ამისა, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის Nგ-20-18/747 გადაწყვეტილებით შპს კავკასუს ონლაინში დანიშნულია სპეციალური მმართველი, რომელიც უფლებამოსილია შეაჩეროს ან შეზღუდოს ხელმძღვანელობის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება და გავლენა იქონიოს მომავალში ჯგუფის საოპერაციო საქმიანობის განვითარებაზე (სხვა ინფორმაცია მოცემულია 21-ე შენიშვნაში).

ამ გარემოებების გამო, ჯგუფს ექმნება სერიოზული ლიკვიდურობისა და საოპერაციო რისკების პრობლემა, რაც იწვევს მნიშვნელოვან გაურკვევლობას და ეჭვქვეშ აყენებს მის უნარს, გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

მიუხედავად აღწერილი გარემოებებისა, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის მიზანშეწონილია ჯგუფისთვის და ჯგუფი მოახდენს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

ხელმძღვანელობის მხრიდან ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ჯგუფის მიერ მოპოვებულ ბანკის გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც ბანკი აცხადებს, რომ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მოთხოვნების დარღვევის შედეგად, არ გამოიყენებს მე-20 შენიშვნაში აღწერილ

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

შეზღუდვებს ჯუფის მიმართ. დეტალური ინფორმაცია მოცემულია 21-ე შენიშვნაში.

დღეისათვის ყველა ოპერაცია ეყრდნობა იმ დაშვებას, რომ საქმიანობა გაგრძელდება.

ხელმძღვანელობის კონტროლს არ ექვემდებარება ბევრი რისკი და გაურკვევლობა, რის გამოც შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ანგარიშგების თარიღით გაკეთებული განცხადებებისგან.

ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2020 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

2020 წლის 1 იანვრის შემდეგ შევიდა ძალაში რამდენიმე ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, თუმცა არცერთი მათგანი არსებით გავლენას არ ახდენს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ასს 3 - საწარმოთა გაერთიანება (შესწორება - ბიზნესის განმარტება);
- საპროცენტო განაკვეთის ზღვრის რეფორმა - IBOR „ფაზა 2“ (შესწორება - ფასს 9, ბასს 39 და ფასს 7);
- კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო შეღავათები (ცვლილებები ფასს 16-ში);
- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორება - არსებითის განმარტება); და ფინანსური ანგარიშგების განახლებული კონცეპტუალური საფუძვლები.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

ჯგუფმა გადაწყვიტა ნაადრევად არ მიეღო ის ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომელიც გამოიცა IASB-ის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო) მიერ, თუმცა ჯერ არ არის შესული ძალაში. ყველაზე მნიშვნელოვანი ამ სიახლეებიდან არის ქვემოთ ჩამოთვლილი შესწორებები და ისინი ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვრიდან:

- წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის ცვლილებები);
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები);
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 (ცვლილებები ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 სტანდარტებში); და
- კონცეპტუალური მიდგომა (ფასს 3-ის ცვლილებები).

2020 წლის იანვარში, IASB-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში, რომელიც აზუსტებს კრიტერიუმებს ვალდებულებების კლასიფიკაციისთვის მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, ვალდებულების მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად კლასიფიცირება დამოკიდებულია, მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქვს თუ არა ჯგუფს უფლება გადაავადოს ვალდებულების დაფარვა სულ მცირე 12 თვის განმავლობაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ. შესწორებები ასევე აზუსტებს, რომ „ვალდებულების დაფარვა“ მოიცავს ფულადი სახსრების, საქონლის, მომსახურების ან წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემას, თუ წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემის ვალდებულება არ წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის შემადგენელი გადაცვლის პირობით, რომელიც კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, ვალდებულების კომპონენტისგან განცალკევებით.

ცვლილებები თავდაპირველად ძალაში უნდა შესულიყო 2022 წლის 1 იანვარს და აქტიური იქნებოდა შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში. თუმცა, 2020 წლის მაისში ბასს 1-ის ცვლილებების ამოქმედების თარიღი გადავადდა 2023 წლის 1-ელ იანვრამდე.

ამჟამად, ჯგუფი აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე. ხელმძღვანელობის შეფასებით, ბასს 1-ში შესულ ცვლილებებს არ ექნება არსებითი გავლენა ჯგუფის ვალდებულებების კლასიფიკაციაზე, რადგან მისი სავალ ინსტრუმენტები არ მოიცავენ კონვერტაციის პირობას.

სხვა

ჯგუფი არ ვარაუდობს, რომ ბასს-ის მიერ გამოშვებულ სხვა სტანდარტებს, რომლებიც ჯერ ძალაში არ არის შესული, ექნება არსებითი გავლენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ჯგუფის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი შეფასებები და დაშვებები

ა) კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მოთხოვნებთან შესაბამისობა

2019 წელს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თანხმობის გარეშე გასხვისდა შპს კავკასუს ონლაინის პირდაპირ და არაპირდაპირ 100%-იანი წილის მფლობელ კომპანიაში „შპს ნელგადო ლიმიტედი“ ფიზიკური პირის - ხვიჩა მაქაცარიას წილი (49% - 31,230 აქცია) ფიზიკურ პირ ნასიმ ჰასანოვზე. შედეგად, შპს კავკასუს ონლაინი კომუნიკაციების კომისიამ 2019 წლის 17 ოქტომბერს ცნო სამართალდამრღვევად და კანონდარღვევით გასხვისებული წილის პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნება მოსთხოვა.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აღნიშნული სამართალდარღვევის აღმოუფხვრელობის გამო შპს კავკასუს ონლაინს 5-ჯერ დაეკისრა ადმინისტრაციული ჯარიმა, ჯამური ღირებულებით 930 ათასი ლარი.

2020 წლის 1 ოქტომბერს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის №-20-18/747 გადაწყვეტილებით, გასხვისებული წილის პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნდებამდე და კანონის მოთხოვნის აღსრულებამდე, კომპანიაში დაინიშნა სპეციალური მმართველი - მარიამ სულაბერიძე.

2020 წლის აგვისტოში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თანხმობის გარეშე ფიზიკურ პირ ნასიმ ჰასანოვზე დამატებით გასხვისდა „შპს ნელგადო ლიმიტედი“ ფიზიკური პირის - ხვიჩა მაქაცარიას დარჩენილი წილი (51% - 32,506 აქცია). შედეგად ნასიმ ჰასანოვი გახდა შპს „კავკასუს ონლაინის“ საბოლოო ბენეფიციარი მაკონტროლებელი მფლობელი. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ეცნობა მოგვიანებით 2021 წლის მარტში. აღნიშნული გარემოება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაძლოა გამხდარიყო კომისიის მხრიდან შპს კავკასუს ონლაინისთვის ავტორიზაციის შეჩერების პროცესის დაწყების საფუძველი.

ჯგუფის ხელმძღვანელობას სჯერა, რომ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნულ დავასთან დაკავშირებით კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი ინფორმაცია სრული და სწორია და ზემოთ მოცემული გარემოება სხვა რაიმე ნეგატიურ მოვლენას არ გამოიწვევს.

ბ) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ჯგუფი ხელმძღვანელობს „მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების“ (ECL) მოდელით. ეს საჭიროებს მსჯელობას, იმის შესახებ, თუ როგორ იმოქმედებს ეკონომიკური ფაქტორები ECL მოდელზე, რაც განისაზღვრება შეწონილი ალბათობის საფუძველზე. ფასს 9-ის მიხედვით, ზარალის ანარჩის განსაზღვრა ხდება შემდეგნაირად: ა) 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - ისეთი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც გამოწვეულია იმ დეფოლტის მოვლენებისგან ფინანსურ ინსტრუმენტებზე, რომელთა მოხდენაც შესაძლებელია შემდგომი 12 თვის განმავლობაში. ბ) არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - ისეთი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც გამოწვეულია ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენისგან, რომელთა მოხდენაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მოდელი მოქმედებს მაშინ, როდესაც ფინანსური აქტივი საკრედიტო რისკი ანგარიშგების პერიოდისათვის მნიშვნელოვნად გაზრდილია მის თავდაპირველ აღიარებასთან შედარებით, ხოლო თუ არ არის გაზრდილი 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, ჯგუფს შეუძლია განსაზღვროს, რომ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი არ გაზრდილა მნიშვნელოვნად, იმ შემთხვევაში თუ აქტივს აქვს დაბალი საკრედიტო რისკი ანგარიშგების წარდგენის პერიოდისათვის. თუმცა, არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოქმედება ყოველთვის ვრცელდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე. დეტალები სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების შესახებ იხილეთ მე-8 შენიშვნაში. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

გ) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ჯგუფი გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. ჯგუფის ხელმძღვანელობა აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

დ) იჯარის ვადების განსაზღვრა იმ ხელშეკრულებებისთვის, სადაც ჯგუფი წარმოადგენს მოიჯარეს

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ჯგუფი აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ იგი გამოიყენებს იჯარის გაგრძელების, ან საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლებას. ჯგუფი ითვალისწინებს ყველა სათანადო ფაქტსა და გარემოებას, რომელიც ეკონომიკურ სტიმულს უქმნის მოიჯარეს იმისთვის, რომ გამოიყენოს ან არ გამოიყენოს ეს უფლება, მათ შორის იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან ამ არჩევანის უფლების გამოყენების თარიღამდე პერიოდში ფაქტებისა და გარემოებების მოსალოდნელ ცვლილებებს. ამასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელ ფაქტორებს, სხვასთან ერთად, განეკუთვნება:

ა) არჩევით პერიოდებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო პირობები, საბაზრო განაკვეთებთან შედარებით, როგორიცაა:

- (i) საიჯარო გადახდების ოდენობა ნებისმიერ არჩევით პერიოდში;
- (ii) ცვლადი საიჯარო გადახდების ან სხვა პირობითი გადახდების სიდიდე;
- (iii) ნებისმიერი არჩევანის უფლებების პირობები, რომლებიც გამოყენებას ექვემდებარება თავდაპირველი არჩევითი პერიოდების შემდეგ.

ბ) საიჯარო ქონების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, რომელიც განხორციელდა (ან მოსალოდნელია, რომ განხორციელდება) ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და მოსალოდნელია, რომ მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს მოიჯარეს, როდესაც შესაძლებელი იქნება იჯარის გაგრძელების ან ვადამდე შეწყვეტის, ან საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების რეალიზება;

გ) იჯარის ვადამდე შეწყვეტასთან დაკავშირებული დანახარჯები, როგორიცაა მოლაპარაკებების წარმოების დანახარჯები, აქტივის გადაადგილების დანახარჯები, სხვა საიჯარო აქტივის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომელიც მოიჯარის საჭიროებების შესაფერისია, მოიჯარის ოპერაციებში ახალი აქტივის ინტეგრირების დანახარჯები, ან იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის განკუთვნილი ჯარიმები და სხვა ანალოგიური დანახარჯები, მათ შორის, რომლებიც დაკავშირებულია საიჯარო აქტივისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მდგომარეობის, ან საიჯარო აქტივის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ადგილზე დაბრუნებასთან;

დ) საიჯარო აქტივის მნიშვნელობა მოიჯარის საქმიანობისთვის, მათ შორის, შემდეგი ასპექტების გათვალისწინება: საიჯარო აქტივი სპეციალიზებული აქტივია თუ არა, საიჯარო აქტივის ადგილმდებარეობა და შესაფერისი ალტერნატიული ვარიანტების არსებობა; და

ე) არჩევანის უფლების გამოყენებასთან დაკავშირებული პირობითობა (ე.ი. როდესაც არჩევანის უფლების გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ერთი ან რამდენიმე პირობა დაკმაყოფილებულია) და ამ პირობების მატერიალიზების ალბათობა

დეტალები იჯარის ვადების შესახებ, იმ ხელშეკრულებებისთვის, სადაც ჯგუფი წარმოადგენს მოიჯარეს, იხილეთ მე-6 შენიშვნაში.

ე) ზღვრული საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრა იმ ხელშეკრულებებისთვის, სადაც ჯგუფი წარმოადგენს მოიჯარეს

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით. ჯგუფმა გამოიყენა ერთი და იგივე დისკონტირების განაკვეთი მეტ-ნაკლებად ანალოგიური მახასიათებლების მქონე საიჯარო ხელშეკრულებების პორტფელთან მიმართებაში; დეტალები ზღვრული სასესხო განაკვეთის შესახებ, იმ ხელშეკრულებებისთვის, სადაც ჯგუფი წარმოადგენს მოიჯარეს, იხილეთ მე-6 შენიშვნაში.

ვ) დისკონტირების განაკვეთის განსაზღვრა იმ ხელშეკრულებებისთვის (შეუზღუდავი გამოყენების უფლების შეთანხმებებისთვის), რომელიც შეიცავს მნიშვნელოვან დაფინანსების კომპონენტს

ხელმძღვანელობა დაპირებული ანაზღაურების თანხის კორექტირებისას დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტის გავლენის გათვალისწინებით, იყენებს ისეთი დისკონტირების განაკვეთს, რომელსაც ხელშეკრულების დაწყებისას გამოიყენებდნენ საწარმო და მისი მომხმარებელი განცალკევებულ დაფინანსების ოპერაციაში. ხელმძღვანელობა

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

იყენებს მსჯელობას აღნიშნული განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება იმ მხარის საკრედიტო მახასიათებლებით, რომელიც ხელშეკრულების ფარგლებში იღებს დაფინანსებას, ასევე ასახავს საწარმოს მიერ გაცემულ გირაოს, ან უზრუნველყოფას, მათ შორის ხელშეკრულების ფარგლებში გადაცემულ აქტივებს. აღნიშნული განაკვეთის მეშვეობით დაპირებული ანაზღაურების ნომინალური თანხა დისკონტირდება ფასამდე, რომელსაც მომხმარებელი საქონელში ან მომსახურებაში გადაიხდიდა მაშინ, როდესაც (ან როგორც კი) მას გადაეცემოდა.

დეტალები დისკონტირების განაკვეთის შესახებ, მომხმარებლებთან გაფორმებული იმ ხელშეკრულებებისთვის, სადაც არსებობს დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტი, წარმოდგენილია მე-12 შენიშვნაში.

ზ) სასამართლო დავები

ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შეფასებისას ჯგუფი ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

თ) დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების საწყისი აღიარება

ჩვეულებრივი საქმიანობის დროს ჯგუფი აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულების საფუძველზე. გადაწყვეტილება მიიღება იმის განსაზღვრით, არის თუ არა ტრანზაქციები შეფასებული საბაზრო თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთებით, სადაც არ არის აქტიური ბაზარი ასეთი ოპერაციებისთვის. მოსაზრების საფუძველს წარმოადგენს ოპერაციათა ანალოგიური სახეობის ფასწარმოქმნა არადაკავშირებულ მხარეებთან და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზი.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

ჯგუფი დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს ჯგუფის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ჯგუფის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საბაზრო რისკი
 - საპროცენტო რისკი
 - უცხოური ვალუტის რისკი
- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ჯგუფის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის. ჯგუფის დირექტორთა საბჭო და შესაბამისი დეპარტამენტები ხელმძღვანელობისგან ღებულობენ ყოველთვიურ ანგარიშგებას, მიმოიხილავენ თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას.

ჯგუფის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას ჯგუფი რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს, საიჯარო ვალდებულებებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია ჯგუფის ფინანსური უზრუნველყოფა.

შპს კავკასუს ონლაინი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ჯგუფს გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები, როგორიცაა გაცემული სესხები, საიჯარო მოთხოვნა, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
ფინანსური აქტივები		
საიჯარო მოთხოვნა	900	820
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	27,731	16,287
ფული და ფულის ეკვივალენტები	4,204	4,589
	32,835	21,696
ფინანსური ვალდებულებები		
მიღებული სესხები	31,489	28,795
საიჯარო ვალდებულებები	8,581	7,891
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	37,524	26,607
	77,594	63,293

ფასს 7 რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფასს 7 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
2. პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და
3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

ჯგუფს არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ფასს 7-ის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

ჯგუფის ხელმძღვანელობის შეფასებით კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება განსაზღვრულია 1-ლი დონის, სესხების მე-2 დონით, ხოლო დანარჩენი ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულებები მე-3 დონის მიხედვით.

კაპიტალის მართვის მიდგომა

ჯგუფი თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. ჯგუფის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფი აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას დივიდენდების გაცემით, აღებული სესხის თანხით კაპიტალის ზრდით და არსებული სესხების დაფარვით.

ჯგუფმა შეიმუშავა კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები იმისთვის, რათა მართოს ის რისკები, რომლებიც კაპიტალის პოზიციაზე ახდენს გავლენას.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- ჯგუფმა შეინარჩუნოს სტაბილურობის მოთხოვნილი დონე, შედეგად, უზრუნველყოს მომხმარებლების დაცულობა;
- გაანაწილოს კაპიტალი ეფექტურად და დაეხმაროს ბიზნესს განვითარებაში, რათა უკუგებად კაპიტალზე დააკმაყოფილოს მფლობელთა მოთხოვნები;

შპს კავკასუს ონლაინი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

- შეინარჩუნოს ფინანსური მოქნილობა ლიკვიდურობის შენარჩუნებისა და კაპიტალის სხვადასხვა ბაზარზე წვდომისთვის;

ჯგუფი რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. ჯგუფი მართავს საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად.

იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ან დააკორექტიროს კაპიტალის სტრუქტურა, ჯგუფმა შეიძლება დაუბრუნოს კაპიტალი მფლობელებს, გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით და ა.შ.

ჯგუფი ადგენს აუცილებელი კაპიტალის რაოდენობას რისკის პროპორციულად გადახდისუნარიანობის კოეფიციენტის გათვალისწინებით, მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას მასში შემავალი აქტივების რისკის მახასიათებლების და ეკონომიკური პირობების ცვლილებების გათვალისწინებით. გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი გამოითვლება შემდეგნაირად: წმინდა ვალდებულებებს (ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარდგენილი მიმდინარე და გრძელვადიანი მიღებული სესხები და საიჯარო ვალდებულებები) აკლდება ფული და ფულის ეკვივალენტები და იყოფა „სულ დაკორექტირებულ კაპიტალზე“.

გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი	31.12.2020	31.12.2019
მიღებული სესხები	31,489	28,795
საიჯარო ვალდებულებები	8,581	7,891
მინუს: ფული და ფულის ეკვივალენტები	(4,204)	(4,589)
წმინდა ვალდებულებები	35,866	32,097
სულ საკუთარი კაპიტალი	15,496	27,706
გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი (%)	43%	86%

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

ჯგუფის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებების შედეგად.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. ჯგუფი დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც ჯგუფს გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები.

2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მიერ აღებული ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი სესხები დენომინირებულია აშშ დოლარში.

ქვემოთ წარმოდგენილი მგრძნობელობის ანალიზი ჩატარდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის როგორც არაწარმოებული ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთების მიმართ არსებული რისკის საფუძველზე. ცვლებადი განაკვეთის ვალდებულებების შეთხვევაში, ანალიზი მომზადდა იმის დაშვებით, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის დაუფარავი ვალდებულების თანხა მთელი წლის განმავლობაში დაუფარავი იყო. 100 საბაზისო ერთეულის გაზრდა (100 საბაზისო ერთეული შეესაბამება 1 პროცენტთან ცვლილებას) ან შემცირება ხდება საპროცენტო განაკვეთის რისკის შიდა ანგარიშგებისას უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობისთვის და წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ საპროცენტო განაკვეთების შესაძლო ცვლილების შეფასებას, გონივრულობის ფარგლებში.

შპს კავკასუს ონლაინი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020		2019	
	პროცენტის ზრდა 1%-ით	პროცენტის შემცირება 1%-ით	პროცენტის ზრდა 1%-ით	პროცენტის შემცირება 1%-ით
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(314)	314	(287)	287

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა. ჯგუფს გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. ჯგუფი არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	ბულგარული ლევ	31.12.2020
ფინანსური აქტივები					
საიჯარო მოთხოვნა	-	900	-	-	900
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,103	2,338	14,372	8,918	27,731
ფული და ფულის ეკვივალენტები	513	3,450	32	209	4,204
	2,616	6,688	14,404	9,127	32,835
ფინანსური ვალდებულებები					
მიღებული სესხები	-	31,489	-	-	31,489
საიჯარო ვალდებულებები	883	7,594	104	-	8,581
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,271	35,008	571	674	37,524
	2,154	74,091	675	674	77,594
ღია სავალუტო პოზიცია	462	(67,403)	13,729	8,453	

	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	ბულგარული ლევ	31.12.2019
ფინანსური აქტივები					
საიჯარო მოთხოვნა	-	788	-	-	788
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,953	2,115	11,107	112	16,287
ფული და ფულის ეკვივალენტები	84	4,331	148	26	4,589
	3,037	7,234	11,255	138	21,664
ფინანსური ვალდებულებები					
მიღებული სესხები	-	28,795	-	-	28,795
საიჯარო ვალდებულებები	1,076	6,779	36	-	7,891
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,113	21,486	1,907	101	26,607
	4,189	57,060	1,943	101	63,293
ღია სავალუტო პოზიცია	(1,152)	(49,826)	9,312	37	

შპს კავკასუს ონლაინი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა წმინდა მოგებაზე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2020	ლარი/ დოლარი +20%	ლარი/ დოლარი - 20%	ლარი/ევრო + 20%	ლარი/ევრო -20%	ლარი/ ბულგარული ლევა + 20%	ლარი/ ბულგარული ლევა -20%
მოგება/(ზარალი)	(13,481)	13,481	2,746	(2,746)	1,691	(1,691)
2019	ლარი/ დოლარი +20%	ლარი/ დოლარი - 20%	ლარი/ევრო + 20%	ლარი/ევრო -20%	ლარი/ ბულგარული ლევა + 20%	ლარი/ ბულგარული ლევა -20%
მოგება/(ზარალი)	(9,965)	9,965	1,862	(1,862)	7	(7)

მოცემული ცხრილი წარმოადგენს ჯგუფის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონიერულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. ჯგუფის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. ჯგუფის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია გაცემული სესხებიდან, საიჯარო მოთხოვნიდან, სავაჭრო მოთხოვნებიდან, ფულისა და ფულის ეკვივალენტებიდან.

ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძველიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, ჯგუფი მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად ჯგუფი განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური, ბითუმად მოვაჭრეა თუ საცალოდ, მომხმარებლების გეოგრაფიულ განაწილებას და წარსულში ფინანსური სიმძლევების არსებობას. მაღალრისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა ჯგუფში და მათზე რეალიზაცია ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ღირებულებას.

საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
ფინანსური აქტივები		
საიჯარო მოთხოვნა	900	820
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	27,731	16,287
ფული და ფულის ეკვივალენტები	4,203	4,588
	32,834	21,695

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ ჯგუფი შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. ჯგუფი ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის

შპს კავკასუს ონლაინი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს ჯგუფის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, ჯგუფი ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია.

ლიკვიდურობის რისკის ანალიზი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წლის ზემოთ	31.12.2020
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	33,420	-	-	33,420
საიჯარო ვალდებულებები	4,384	2,728	4,751	11,863
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	37,524	-	-	37,524
	75,328	2,728	4,751	82,807

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წლის ზემოთ	31.12.2019
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	3,446	27,301	5,119	35,866
საიჯარო ვალდებულებები	3,800	2,610	4,828	11,238
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	26,607	-	-	26,607
	33,853	29,911	9,947	73,711

შპს კავკასუს ონლაინი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	წყალქვეშა ობიექტ- ბოჭკოვანი კაბელი და ალჭურვილობა *	სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა	მიწა და შენობა- ნაგებობები	დანადგარები და ოფისი ალჭურვილობა	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
31.12.2018	88,342	81,991	6,545	2,149	168	179,195
შემოსვლა	-	2,078	-	76	55	2,209
მომრეზობა დაუმთავრებელ მშენებლობაზე	-	(11)	-	181	(170)	-
გასვლა	-	(476)	-	(6)	-	(482)
რეკლასიფიკაცია ფასს 16-ის დანერგვის შედეგად (შენიშვნა 20)	(3,050)	(12,213)	-	-	-	(15,263)
საკუროს სხვაობის ეფექტი	870	464	81	10	-	1,425
31.12.2019	86,162	71,833	6,626	2,410	53	167,084
შემოსვლა	-	4,032	-	180	28	4,240
შიდა მომრეზობა	-	(1,711)	-	-	1,711	-
მომრეზობა დაუმთავრებელ მშენებლობაზე	-	545	-	-	(545)	-
გასვლა	-	(63)	-	(92)	-	(155)
საკუროს სხვაობის ეფექტი	5,067	2,841	469	57	-	8,434
31.12.2020	91,229	77,477	7,095	2,555	1,247	179,603
დაგროვილი ცვეთა						
31.12.2018	(32,327)	(33,901)	(1,558)	(1,691)	-	(69,477)
ცვეთა	(5,974)	(10,626)	(257)	(163)	-	(17,020)
გასვლა	-	49	-	4	-	53
რეკლასიფიკაცია ფასს 16-ის დანერგვის შედეგად (შენიშვნა 20)	661	3,515	-	-	-	4,176
საკუროს სხვაობის ეფექტი	(462)	(204)	(27)	(10)	-	(703)
31.12.2019	(38,102)	(41,167)	(1,842)	(1,860)	-	(82,971)
ცვეთა	(6,132)	(9,517)	(234)	(190)	-	(16,073)
გასვლა	-	2	-	78	-	80
საკუროს სხვაობის ეფექტი	(3,037)	(2,125)	(177)	(57)	-	(5,396)
31.12.2020	(47,271)	(52,807)	(2,253)	(2,029)	-	(104,360)
საბალანსო ღირებულება						
31.12.2019	48,060	30,666	4,784	550	53	84,113
31.12.2020	43,958	24,670	4,842	526	1,247	75,243

შპს კავკასუს ონლაინი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

5. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ჯგუფის ძირითადი საშუალებებით უზრუნველყოფილია სს თიბისი ბანკისგან მიღებული სესხები. (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 11).

ჯგუფის ფინანსური ლიზინგით და IRU ხელშეკრულებების თანახმად მიღებული აქვს ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის აღჭურვილობა და გაუნათებელი ბოჭკოვანი ღერები შემდეგი კომპანიებისგან:

კომპანია	სახელშეკრულებო თანხა	საბალანსო ღირებულება
		რეკლასიფიკაციის მიზნებისთვის 01.01.2019
შპს დელტა კომმი	3,529	1,796
UCOM LLC	3,390	2,356
GNC ALFA	3,050	2,389
შპს პისი მაქსი	1,518	1,226
შპს მაგთიკომი	3,776	3,320

აღნიშნული აქტივები ფასს 16-ის დანერგვის შედეგად რეკლასიფიცირდა აქტივების გამოყენების უფლებად.

6. აქტივების გამოყენების უფლება

ჯგუფის საიჯარო ხელშეკრულებები, ძირითადად, უკავშირდება ჯგუფის სატელეკომუნიკაციო აღჭურვილობის განლაგებისთვის იჯარით აღებულ ფართებს (მაგ. მიწა, სახურავის ზედაპირი, სივრცე ფიქსურ კოშკებში, სივრცე ბოჭკოვანი კაბელებისთვის, და ა.შ.) და გაუნათებელ ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელების შუზღუდავ გამოყენების უფლებას. ყველა აქტივის საიჯარო გადასახდელი არის ფიქსირებული. საიჯარო გადასახდელები წარმოდგენილია როგორც ლარში, ისე აშშ დოლარში და ევროში.

ხელშეკრულების განახლების უფლება გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკით. ხელმძღვანელობა გონივრულად ვარაუდობს, რომ გამოიყენებს საიჯარო ხელშეკრულებებით განსაზღვრული საიჯარო ვადების გაგრძელების უფლებას. იჯარების ხელშეკრულება განსაზღვრავს ფიქსირებულ საიჯარო გადასახდელს არაგაუქმებადი პერიოდისთვის, რამდენადაც გაგრძელების უფლება გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად, ჯგუფი ამგვარი საიჯარო პერიოდისთვის იყენებს არაგაუქმებადი პერიოდისთვის განსაზღვრულ ფიქსირებულ გადასახდელებს.

აქტივების გამოყენების უფლების მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

აქტივების გამოყენების უფლება	2020	2019
1 იანვარი	13,540	12,460
შემოსვლა	-	3,449
ცვეთა	(1,150)	(1,150)
გასვლა	(33)	(1,219)
31 დეკემბერი	12,357	13,540

საიჯარო ვალდებულების მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საიჯარო ვალდებულებები	2020	2019
1 იანვარი	7,891	5,752
შემოსვლა	-	3,449
საპროცენტო ხარჯი	523	429
ზარალი საკურსო სხვაობიდან	973	520
საიჯარო გადასახდელი	(652)	(741)
ურთიერთგადახურვა	(120)	(300)
გასვლა	(34)	(1,218)
31 დეკემბერი	8,581	7,891

ხარისხობრივი ინფორმაცია საიჯარო ვალდებულებების შესახებ წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

შპს კავკასუს ონლაინი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

6. აქტივის გამოყენების უფლება (გაგრძელება)

აქტივების გამოყენების უფლება აღიარებულია საიჯარო ვალდებულების ტოლი თანხით შესწორებული წინასწარი გადახდებითა და დარიცხული ვალდებულებით.

საიჯარო ვალდებულება აღიარებულია მომავალი საიჯარო გადასახდელების ზღვრული სასესხო განაკვეთით დისკონტირებული ღირებულებით. ზღვრული სასესხო განაკვეთი არის საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. ზღვრული სასესხო განაკვეთი მერყეობს 8.53%-11.75% განაკვეთების ფარგლებში.

7. სახელშეკრულებო აქტივები

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სახელშეკრულებო აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოდგენილია სოფია ქონექტისგან (Sofia Connect EAD) ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის საშუალებით მისაღები სატრანზიტო მომსახურების შესაძენად გაცემული ავანსებით, ჯამური ღირებულებით 25,264 ათასი ლარი (2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 20,155 ათასი ლარი). აქედან, საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო თორმეტ თვეში ასაღიარებელ ხარჯს წარმოადგენს - 9,113 ათასი ლარი (2019 წლის ბოლოსთვის - 7,270 ათასი ლარი), რაც წარდგენილია სახელშეკრულებო აქტივების მოკლევადიან ნაწილში.

შპს კავკასუს ონლაინმა 2020 წლის 18 მარტს შპს გრინ პროექტთან გააფორმა შეთანხმება, რომლის საფუძველზეც შეიცვალა 2018 წლის 7 დეკემბერს მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული საგარანტიო მომსახურების ღირებულება, იმ პირობით რომ კომპანია წინასწარ გადაიხდიდა 588,000 აშშ დოლარს. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნული თანხა აღიარებულია სახელშეკრულებო აქტივად, ჯამური ღირებულებით 1,559 ათასი ლარი. აქედან, საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო თორმეტ თვეში ასაღიარებელ ხარჯს (ქსელის რემონტისა და შენახვის ხარჯები) წარმოადგენს - 312 ათასი, რაც წარდგენილია სახელშეკრულებო აქტივების მოკლევადიან ნაწილში.

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	31.12.2020	31.12.2019
სავაჭრო მოთხოვნები	30,510	18,791
სხვა მოთხოვნები	334	569
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები	(3,113)	(3,073)
სულ ფინანსური აქტივები	27,731	16,287
არაფინანსური აქტივები		
გაცემული ავანსები	710	848
სულ არაფინანსური აქტივები	710	848
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	28,441	17,135

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ხარისხობრივი ინფორმაცია მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

ჯგუფს ჰყავს მრავალი მომხმარებელი, ამიტომ არ ხასიათდება კონცენტრირებული საკრედიტო რისკით.

ჯგუფის ხელმძღვანელობა ახდენს მოთხოვნების საკრედიტო რისკის ანალიზს, რომელიც პერიოდულად გადაიხედება. ჯგუფის ფინანსური აქტივების გაუფასურების მეთოდოლოგიისთვის იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მეთოდს, რათა განსაზღვროს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად, მოთხოვნები დაჯგუფდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი.

ჯგუფი აკეთებს სპეციფიკურ ანალიზს თითოეული მოთხოვნის დაფარვიანობაზე, მოთხოვნის ხანდაზმულობის, მომხმარებლის ფინანსური მდგომარეობის, დაფარვიანობის ისტორიის და სხვა ცნობილი ინფორმაციის მიხედვით. ჯგუფი ქმნის ანარიცხებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის, რომლებიც ინდივიდუალურად შეფასებულია, როგორც

შპს კავკასუს ონლაინი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

საექვ. ჯგუფი იყენებს მოსალოდნელ მომავალ ინფორმაციას შემქნილი ანარიცხების შემდგომ შეფასებასთან დაკავშირებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოადგენს მოკლევადიან მოთხოვნებს 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. მოთხოვნები არ ხასიათდება მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის ზრდით საწყისი აღიარების შემდგომ. ახალი მომხმარებლის მიღების წინ ჯგუფი აფასებს პოტენციური მომხმარებლის საკრედიტო შესაძლებლობებს.

ფინანსური მოთხოვნების ვადაგადაცილება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საბალანსო ღირებულება	ზარალების ალბათობა	გაუფასურების ანარიცხი
გაუფასურებისთვის ჯგუფურად განხილული მოთხოვნები			
ვადადუმდგარი	1,674	1%	(17)
ვადაგადაცილება 0-30 დღე	1,473	5%	(74)
ვადაგადაცილება 31-90 დღე	1,040	10%	(104)
ვადაგადაცილება 91-180 დღე	317	30%	(95)
ვადაგადაცილება 181-360 დღე	130	50%	(65)
361 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	2,758	100%	(2,758)
სულ ჯგუფურად გაუფასურებული	7,392		(3,113)
გაუფასურებისთვის ინდივიდუალურად განხილული მოთხოვნები			
ინდივიდუალურად გაუფასურებული*	23,452	0%	-
სულ ფინანსური აქტივები	30,844		(3,113)

(*) - ინდივიდუალურად გაუფასურებული მოთხოვნები ძირითადად შედეგება შპს იუკომის (13,898 ათასი ლარი) და სოფია ქონექტისგან (Sofia Connect EAD) მიმართ (8,470 ათასი) არსებული სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისგან. იგივე კომპანიების მიმართ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს აქვს სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. ზემოთ აღნიშნული მოთხოვნებისა და ვალდებულებების ურთიერთგადახურვა წლის ბოლოს არ მომხდარა.

ფინანსური მოთხოვნების ვადაგადაცილება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საბალანსო ღირებულება	ზარალების ალბათობა	გაუფასურების ანარიცხი
გაუფასურებისთვის ჯგუფურად განხილული მოთხოვნები			
ვადადუმდგარი	2,500	1%	(25)
ვადაგადაცილება 0-30 დღე	1,411	5%	(71)
ვადაგადაცილება 31-90 დღე	515	10%	(51)
ვადაგადაცილება 91-180 დღე	242	30%	(72)
ვადაგადაცილება 181-360 დღე	297	50%	(148)
361 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით	2,706	100%	(2,706)
სულ ჯგუფურად გაუფასურებული	7,671		(3,073)
გაუფასურებისთვის ინდივიდუალურად განხილული მოთხოვნები			
ინდივიდუალურად გაუფასურებული*	11,689	0%	-
სულ ფინანსური აქტივები	19,360		(3,073)

(*) - ინდივიდუალურად გაუფასურებული მოთხოვნები ძირითადად შედეგება შპს იუკომის (10,231 ათასი ლარი) მიმართ არსებული სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისგან. იგივე კომპანიის მიმართ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს აქვს სავაჭრო ვალდებულებები 16,557 ათასი ლარის ღირებულებით. ზემოთ აღნიშნული მოთხოვნებისა და ვალდებულებების ურთიერთგადახურვა წლის ბოლოს არ მომხდარა.

შპს კავკასუს ონლაინი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

მოდრაობა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
1 იანვარი	(3,073)	(4,624)
ცვლილება გაუფასურების რეზერვში	(45)	1,429
ჩამოწერა	5	122
31 დეკემბერი	(3,113)	(3,073)

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	3,692	4,505
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	511	83
ნაღდი ფული სალაროში	1	1
	4,204	4,589

ფულისა და ფულის ეკვივალენტების ხარისხობრივი ინფორმაცია მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

10. კაპიტალი

2019 წლის 16 იანვარს, შპს კავკასუს ონლაინის დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით, ჯგუფის საწესდებო კაპიტალი შემცირდა 3,700 ათასი აშშ დოლარის ეკვივალენტის ოდენობით (9,788 ათასი ლარი). აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე შპს ნელგადო ლიმიტედის (Nelgado LTD) წილობრივი მონაწილეობა შპს კავკასუს ონლაინის კაპიტალში შემცირდა 11.07%-ით და განისაზღვრა როგორც 36.2%, ხოლო International Online Networks Limited-ის წილობრივი მონაწილეობა - გაიზარდა 11.07%-ით და განისაზღვრა როგორც 63.8%. შპს კავკასუს ონლაინმა მიღებული გადაწყვეტილებით ნაკისრი ვალდებულება შპს ნელგადო ლიმიტედის მიმართ სრულად დაფარა 2019 წლის 26 იანვარს.

11. მიღებული სესხები

მიღებული სესხები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

				გრძელვადიანი	
	დაფარვის ვადა	საპროცენტო განაკვეთი %	ვალუტა	31.12.2020	31.12.2019
სს თიბისი ბანკი	სექტემბერი - 2025	ლიბორი*+6.75%	აშშ დოლარი	-	27,469
				-	27,469
				მოკლევადიანი	
	დაფარვის ვადა	საპროცენტო განაკვეთი %	ვალუტა	31.12.2020	31.12.2019
სს თიბისი ბანკი	სექტემბერი - 2025	ლიბორი*+6.75%	აშშ დოლარი	31,489	1,326
				31,489	1,326

მიღებული სესხების ვალუტების და დაფარვის ვადიანობის შესახებ ინფორმაცია მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

(*) - ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთს ემატება აშშ დოლარის ლიბორის 6 თვიანი განაკვეთი.

კომპანიამ სს თიბისი ბანკისგან მიღებულ სესხთან დაკავშირებით უნდა დააკმაყოფილოს ხელშეკრულებით განსაზღვრული კოვენანტები, დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია 21-ე შენიშვნაში. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ვერ აკმაყოფილებს კოვენანტების მნიშვნელოვან ნაწილს, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ნეგატიური გარემოებები, მათ შორის „ხელშეკრულების პირობების დარღვევა“, რომელიც თავის მხრივ ხელშეკრულების შეწყვეტის, მიღებული სესხის ნებისმიერი ნაწილის ან მთლიანი სესხის ძირისა და მასზე დარიცხული პროცენტის და სხვა გადასახდელების დაუყოვნებლივ მოთხოვნის მიზეზი შესაძლოა გახდეს.

შპს კავკასუს ონლაინი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

11. მიღებული სესხები (გაგრძელება)

ამ გარემოების გამო, მიღებული სესხი მთლიანად, მათ შორის ის ნაწილი, რომელიც 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური ანგარიშგებაში წარდგენილი უნდა ყოფილიყო როგორც გრძელვადიანი ვალდებულება, 25,622 ათასი ლარის საბალანსო ღირებულებით წარდგენილია, როგორც მოკლევადიანი ვალდებულება.

მიღებულ სესხებში განხორციელებული ფულადი და არაფულადი ცვლილებები, რომლებიც მიღებულია ფინანსური აქტივობების შედეგად, შესაძლოა წარმოდგენილი იქნეს შემდეგნაირად:

	2020	2019
1 იანვრისთვის	28,795	27,281
ფულადი:		
სესხის დაფარვა	(1,379)	(37,190)
პროცენტის დაფარვა	(2,303)	(3,004)
სესხის აღება	-	39,340
არაფულადი:		
საიჯარო ვალდებულებებში რეკლასიფიკაცია	-	(2,860)
წლის განმავლობაში დარიცხული საპროცენტო ხარჯი	2,296	2,994
ეფექტი სავალუტო ოპერაციებიდან, წმინდა	4,080	2,234
31 დეკემბრისთვის	31,489	28,795

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს თიბისი ბანკისგან მიღებული სესხების უზრუნველყოფა წამორდგენილია შემდეგნაირად:

- საწარმოო ფართი: შპს "კარდენახი", შპს "კავკასუს ონლაინი", შპს "რკინიგზის ტელეკომი"
- ძირითადი საშუალებები: შპს "კავკასუს ონლაინი"
- წილები: შპს ნოვასტარსა და შპს ინტერნეიშენალ ონლაინ ნეთვორქსში
- საოფისე ფართი: შპს რკინიგზის ტელეკომი
- სავაჭრო მარაგები: შპს რკინიგზის ტელეკომი
- პირადი თავდებობა: ხვიჩა მაქაცარია და ლევან ყარამანიშვილი
- კომპანიის თავდებობა: შპს "კავკასუს ონლაინი", შპს "ინტერნეიშენალ ონლაინ ნეთვორქს", შპს "კავკასუს ქეიბელ სისტემ ბულგარია"

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს თიბისი ბანკისგან მიღებული სესხების უზრუნველყოფა წამორდგენილია შემდეგნაირად:

- საწარმოო ფართი: შპს "კარდენახი", შპს "კავკასუს ონლაინი"
- ძირითადი საშუალებები: შპს "კავკასუს ონლაინი", შპს "რკინიგზის ტელეკომი"
- წილები: შპს ნოვასტარში, შპს ინტერნეიშენალ ონლაინ ნეთვორქსსა და შპს ნეგლადოში
- საოფისე ფართი: შპს რკინიგზის ტელეკომი
- სავაჭრო მარაგები: შპს რკინიგზის ტელეკომი
- პირადი თავდებობა: ხვიჩა მაქაცარია და ლევან ყარამანიშვილი
- კომპანიის თავდებობა: შპს "კავკასუს ონლაინი", შპს "ინტერნეიშენალ ონლაინ ნეთვორქს", შპს "კავკასუს ქეიბელ სისტემ ბულგარია"
- სასოფლო-სამეურნეო ფართი: შპს "კავკასუს ონლაინი"

შპს კავკასუს ონლაინი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

12. სახელშეკრულებო ვალდებულებები

სახელშეკრულებო ვალდებულებები წარმოდგენილია, როგორც სხვა სატელეკომუნიკაციო ოპერატორებისგან ჯგუფის მფლობელობაში არსებული ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის საშუალებით მისაწოდებელი მომსახურებისა და ინტერნეტ მოცულობის რეალიზაციისთვის მიღებული ავანსები. გრძელვადიანი სახელშეკრულებო ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
Sofia Connect EAD	21,743	18,607
Ucom LLC Yerevan Armenia	21,363	20,449
IQ NETWORKS TRADING	3,841	4,332
Team LLC *	1,694	-
შპს მაგთიკომი	367	392
	49,008	43,780

მოკლევადიანი სახელშეკრულებო ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
Sofia Connect EAD	3,260	2,601
Ucom LLC Yerevan Armenia	4,491	4,056
IQ NETWORKS TRADING	817	817
Team LLC *	224	-
შპს მაგთიკომი	25	25
	8,817	7,499

(*) - 2020 წლის 28 სექტემბერს Team LLC-სა და შპს კავკასუს ონლაინს შორის გაფორმდა IRU შეთანხმება ბულაგრეთიდან, ქ. სოფიადან საქართველო-სომხეთის საზღვრამდე ინტერნეტ მოცულობის ტრანზიტზე და დაკავშირებულ სატელეკომუნიკაციო მომსახურებებზე, 15 წლის ვადით. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე, შპს კავკასუსის მფლობელობაში არსებული ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის საშუალებით მისაწოდებელი მომსახურებისა და ინტერნეტ მოცულობის რეალიზაციისთვის მიღებული ავანსი აღიარდა სახელშეკრულებო ვალდებულებად 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯამური ღირებულებით 1,918 ათასი ლარი.

სახელშეკრულებო ვალდებულებებთან მიმართებაში დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტის ეფექტი ასახულია გარიგების ფასის შეფასებაში, როგორც მიღებული ავანსის კორექტირება დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელსაც ხელშეკრულების მოქმედების დაწყებისას გამოიყენებდნენ საწარმო და მისი მომხმარებელი განცალკევებული დაფინანსების ოპერაციაში. დისკონტირების განაკვეთი მერყეობს 6.71%-7.66% განაკვეთების ფარგლებში.

მომხმარებელი სახელშეკრულებო ვალდებულებებში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
1 იანვარისთვის	51,279	53,709
ზრდა მიღებული ფულადი სახსრების საფუძველზე	6,061	-
ზრდა ურთიერთგადახურვის საფუძველზე	-	853
საპროცენტო ხარჯის აღიარება IRU ხელშეკრულებებზე, რომელიც გათვალისწინებულია ფინანსურ ხარჯში	4,289	4,081
პერიოდში აღიარებული შემოსავალი	(8,970)	(8,267)
პერიოდში დადგენილი გადასახდელი დღგ	(25)	(25)
უცხოური ვალუტის წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშების ეფექტი	5,191	928
31 დეკემბრისთვის	57,825	51,279

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური ვალდებულებები	31.12.2020	31.12.2019
სავაჭრო ვალდებულებები	35,680	21,505
სხვა ვალდებულებები*	1,844	5,102
არა-ფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	155	315
	37,679	26,922

(*) – 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა ვალდებულებები მოიცავს ძირითადი საშუალებების შესყიდვიდან წარმოქმნილ ვალდებულებებს - ჯამური ღირებულებით 1,415 ათასი ლარი (2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 3,881 ათასი ლარი). სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ხარისხობრივი ინფორმაცია მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

14. ამონაგები

ამონაგები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან		
შემოსავალი ინტერნეტიდან და სხვა სატელეკომუნიკაციო მომსახურებებიდან	40,316	47,531
შემოსავალი კოლოკაციის მომსახურებიდან	1,205	1,048
შემოსავალი დომენის მომსახურებიდან	1,195	1,094
შემოსავალი ადგილობრივი და საერთაშორისო ზარების ტერმინაციიდან და ტრანზიტიდან	617	168
სხვა	250	254
სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	43,583	50,095
შემოსავალი ფინანსური იჯარიდან	-	785
	43,583	50,880

მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი შესასრულებელი ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგ ჯგუფებად:

- შემოსავალი ინტერნეტიდან და საკომუნიკაციო მომსახურებებიდან მოიცავს საბოლოო მომხმარებლებთან ინტერნეტის მიწოდების, მოცულობის ტრანზიტის, ეზერნეტის, შეერთების პორტებთან დაშვების და სხვა საკომუნიკაციო მომსახურებებს. ასევე, გადაცემული ღირებულების ტექნიკური მომსახურები, რომელიც მოიცავს „შეუზღუდავი გამოყენების უფლების“ ხელშეკრულების ფარგლებში გადაცემული წვერების პროფილაქტიკურ-ტექნიკურ და საავარიო აღდგენითი მომსახურებებს. შემოსავლები აღიარებულია გამოყენებული რესურსების მეთოდით, წრფივი მეთოდის საფუძველზე.
- ადგილობრივი და საერთაშორისო ზარებიდან მიღებული შემოსავლის მოიცავს - საერთაშორისო და ადგილობრივი ოპერატორებისთვის გაწეულ ტერმინაცია ტრანზიტის მომსახურებებს. შესასრულებელი ვალდებულება სრულდება მომსახურების გაწევასთან ერთად, მოხმარებულ წუთების საფუძველზე და მომსახურებები სახელშეკრულებო საფასურის საფუძველზე. შემოსავლები აღიარებულია გამოყენებული რესურსების მეთოდით, წრფივი მეთოდის საფუძველზე.
- შემოსავალი დომენის მომსახურებიდან მოიცავს - ზედა დონის .GE დაბოლოების მქონე დომენური სახელები რეგისტრაცია. შემოსავლები აღიარებულია გამოყენებული რესურსების მეთოდით, წრფივი მეთოდის საფუძველზე.
- შემოსავალი კოლოკაციის მომსახურებიდან - ქსელის არქიტექტურას, მრავალდონიან უსაფრთხოებასა და განსაკუთრებულ დაცვით სისტემებს, რომლებიც უზრუნველყოფენ თქვენი სერვერის უწყვეტ და უსაფრთხო რეჟიმში მუშაობას. შემოსავლები აღიარებულია გამოყენებული რესურსების მეთოდით, წრფივი მეთოდის საფუძველზე.

შპს კავკასუს ონლაინი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

14. ამონაგები (გაგრძელება)

ჯგუფი შემოსავალს აღიარებს გარკვეული პერიოდის განმავლობაში, რადგან მომხმარებელი იღებს და მყისიერად მოიხმარს მიღებულ სარგებელს, კომპანიის მხრიდან შესასრულებელი ვალდებულების შესრულებისთანავე.

მომხმარებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში ჯგუფი წარმოადგენს მარწმუნებელს.

15. კომუნიკაციის ხარჯები

კომუნიკაციის ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
ინტერნეტის და ინტერნეტის ტრანზიტის ხარჯი	(13,420)	(11,767)
E1-E3 არხის იჯარის ხარჯი	(928)	(767)
საერთაშორისო და ადგილობრივი ზარების ტერმინაციის და ტრანზიტის ხარჯი	(638)	(201)
კოლოკაციის მომსახურების ხარჯი	(31)	(17)
სხვა	(141)	(140)
	(15,158)	(12,892)

16. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
ხელფასი	(4,444)	(4,657)
ბონუსი	(1,204)	(954)
დაზღვევა	(175)	(185)
სხვა სარგებელი	(107)	(233)
	(5,930)	(6,029)

17. სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურების ხარჯები	(1,073)	(1,331)
ჯარიმები და სანქციები *	(1,029)	(90)
კოვიდის ფონდის დონაცია	(1,000)	-
საგადასახადო ხარჯები, მოგების გადასახადის გარდა	(761)	(1,602)
კომუნალური ხარჯები	(548)	(595)
დაზღვევის ხარჯები	(513)	(512)
რეგულირების გადასახადი	(287)	(363)
ოფისის რემონტისა და შენახვის ხარჯები	(163)	(256)
მივლინების ხარჯები	(79)	(259)
საწვავის ხარჯები	(79)	(117)
ბანკის საკომისიო ხარჯები	(47)	(262)
სხვა	(488)	(466)
	(6,067)	(5,853)

(*) – ჯარიმებიდან 970 ათასი ლარი წარმოადგენს 2019 წელს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თანხმობის გარეშე შპს კავკასუს ონლაინის პირდაპირ და არაპირდაპირ 100%-იანი წილის მფლობელ კომპანიაში „შპს ნელგადო ლიმიტედში“ ფიზიკური პირის - ხვიჩა მაქაცარიას წილის ფიზიკურ პირ ნასიბ ჰასანოვზე გასხვისების ოპერაციის სამართალდარღვევად მიჩნევის საფუძველზე საქართველოს კომუნიკაციების კომისიის მიერ შპს კავკასუს ონლაინზე დაკისრებულ ჯარიმებს.

შპს კავკასუს ონლაინი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

18. ფინანსური ხარჯები, წმინდა

ფინანსური ხარჯები, წმინდა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
ზარალი საკურსო სხვაობიდან, წმინდა	(4,938)	(2,688)
საპროცენტო ხარჯი სახელშეკრულებო ვალდებულებებზე ავანსებიდან	(4,289)	(4,081)
საფინანსო ინსტიტუტებისგან მიღებულ სესხებზე დარიცხული	(2,296)	(2,994)
საპროცენტო ხარჯი		
საიჯარო მოთხოვნისა და ვალდებულების დისკონტირების ეფექტი	(505)	72
	(12,028)	(9,691)
საპროცენტო შემოსავალი	-	1
	(12,028)	(9,690)

19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ბასს 24 „დაკავშირებული მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ მიხედვით, არის, როდესაც:

- მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;
- მხარე არის საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;
- მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე და არა მის სამართლებრივ მხარეზე. ჯგუფის და მისი დაკავშირებული მხარეების არსებითი ურთიერთობის დეტალები მოცემულია ქვემოთ.

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახული ოპერაციების შედეგები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	დაკავშირებული მხარე	31.12.2020	31.12.2019
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები			
შპს სი ბი ეს ჯგუფი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანია	-	29

სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ასახული ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	დაკავშირებული მხარე	2020	2019
სხვა ხარჯები			
კობა ღურწყაია	სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე	(157)	(221)
შპს სი ბი ეს ჯგუფი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანია	-	(123)
International Online Networks LLC	დამფუძნებელი	(16)	(101)
უმაღლესი ხელმძღვანელი პირები		(14)	(65)

დირექტორების, ხელმძღვანელობის და სამეთვალყურეო საბჭოს სხვა წევრების ანაზღაურება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
უმაღლესი ხელმძღვანელ პირთა შრომის ანაზღაურება	(1,407)	(1,256)

20. პირობითი ვალდებულებები

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მოთხოვნებთან შესაბამისობა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ („კომისია“) 2019 წლის 17 ოქტომბერს მიიღო გადაწყვეტილება №-19-18/605 და №-19-18/606 შპს „კავკასუს ონლაინისთვის“ („კავკასუს ონლაინი“) და შპს რკინიგზის ტელეკომისთვის („რკინიგზის ტელეკომი“) ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე. კომისიამ სამართალდარღვევად მიიჩნია შპს კავკასუს ონლაინის ბენეფიციარი მესაკუთრის მიერ „შპს ნელგადო ლიმიტედში“ (კავკასუს ონლაინის პირდაპირ/არაპირდაპირ 100% წილის მფლობელი კომპანია) კუთვნილი წილის გასხვისება კომისიისგან წინასწარი თანხმობის მოპოვების გარეშე.

კომისიამ 2019 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შპს კავკასუს ონლაინი და შპს რკინიგზის ტელეკომი გააფრთხილა და განუსაზღვრა ვადა სამართალდარღვევის აღმოსაფხვრელად, „ნელგადო ლიმიტედში“ ბენეფიციარი მესაკუთრის წილის გასხვისებამდე არსებული მდგომარეობის აღსადგენად. 2019 წლის 12 დეკემბერს კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება (№-19-18/697 და №-19-18/696) შპს „კავკასუს ონლაინისთვის“ („კავკასუს ონლაინი“) და შპს რკინიგზის ტელეკომისთვის („რკინიგზის ტელეკომი“) ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე და კომპანიებს დააკისრა ჯარიმა 30 ათას - 30 ათასი ლარის ოდენობით. კომისიამ დაადგინა, რომ კავკასუს ონლაინმა და რკინიგზის ტელეკომმა განსაზღვრულ ვადაში არ უზრუნველყვეს სამართალდარღვევის აღმოფხვრა - შპს „კავკასუს ონლაინის“ წილის პირდაპირ და არაპირდაპირ 100%-ის მფლობელ კომპანიაში, „შპს ნელგადო ლიმიტედში“ ფიზიკურ პირ ხვიჩა მაქაცარიას კუთვნილი წილის 49%-ის (31,230 აქცია) ფიზიკურ პირ ნასიბ ჰასანოვის მიერ შეძენამდე არსებული მდგომარეობის (წილობრივი მფლობელობის) და აღნიშნული მიიჩნია კავკასუს ონლაინისთვის სანქციის სახით ჯარიმის დაკისრების საფუძველად.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში სამართალდარღვევის აღმოუფხვრელობის გამო, 2020 წლის 6 თებერვალს კომისიამ შპს კავკასუს ონლაინს ჯარიმის სახით 90 ათასი ლარის გადახდა დააკისრა, ხოლო სამართალდარღვევის აღმოსაფხვრელად და წილის გასხვისებამდე არსებულ მდგომარეობაში დაბრუნების ახალ ვადად 2020 წლის 22 თებერვლი განესაზღვრა. ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, 2020 წლის 12 მარტს კომუნიკაციების კომისიამ „კავკასუს ონლაინს“ დამატებით 270 ათას ლარიანი ჯარიმა დააკისრა, ხოლო წილების პირვანდელ მდგომარეობაში დასაბრუნებლად, ახალი კორონა ვირუსის (კო-ვიდ 19) პანდემიიდან არსებული შეზღუდვების გათვალისწინებით, 2 თვიანი ვადა მისცა. აღნიშნული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, კომუნიკაციების კომისიამ ჯგუფი 2020 წლის 25 ივნისს კვლავ 270 ათასი ლარით დააჯარიმა, ხოლო სამართალდარღვევის აღმოსაფხვრელად ახალი ვადა 2020 წლის პირველ აგვისტომდე განუსაზღვრა. ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, კომუნიკაციების კომისიამ ჯგუფი 2020 წლის 20 აგვისტოს კვლავ 270 ათასი ლარით დააჯარიმა, ხოლო სამართალდარღვევის აღმოსაფხვრელად ახალი ვადა 2020 წლის 20 სექტემბრამდე განუსაზღვრა.

2020 წლის 1 ოქტომბერს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ კანონდარღვევის აღმოუფხვრელობის გამო შპს კავკასუს ონლაინში სპეციალური მმართველი დანიშნა. კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილებით „კავკასუს ონლაინში“ სპეციალური მმართველი იმ დრომდე დაინიშნა, ვიდრე კანონდარღვევით გასხვისებული წილის პირვანდელ მდგომარეობაში არ დაბრუნდება და კანონის მოთხოვნა არ აღსრულდება.

გამომდინარე იქიდან, რომ შპს კავკასუს ონლაინის საქმიანობის შეჩერებამ პირველ რიგში შესაძლოა გარკვეული პრობლემები შეუქმნას 2.5 მილიონზე მეტ აბონენტს სატელეკომუნიკაციო მომსახურების მიღების თვალსაზრისით. კომპანიის საქმიანობის შეჩერება უარყოფითად აისახება ინტერნეტის საერთაშორისო ტრანზიტზე და შესაბამისად მისაღებ შემოსავლებზე, ასევე ნეგატიურ გავლენას მოახდენს ბაზარზე არსებულ კონკურენტულ გარემოზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომუნიკაციების კომისიამ გაუმართლებლად მიიჩნია ავტორიზაციის შეჩერება და კომპანიაში კანონის აღსრულების მიზნით, სპეციალური მმართველის დანიშვნის გადაწყვეტილება მიიღო.

ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად, სპეციალური მმართველის დანიშვნის შემდეგ დაუშვებელია ავტორიზებული პირის/ლიცენზიის მფლობელის სახელით, სპეციალური მმართველის ან/და კომისიის თანხმობის გარეშე ნებისმიერი ქმედების განხორციელება. სპეციალური მმართველი მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობისა და კომისიის მიერ გაცემული ინსტრუქციებისა და მითითებების ფარგლებში. სპეციალური მმართველი ანგარიშვალდებულია მხოლოდ კომისიის წინაშე.

2020 წლის აგვისტოში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თანხმობის გარეშე ფიზიკურ პირ ნასიბ ჰასანოვზე გასხვისდა „შპს ნელგადო ლიმიტედში“ ფიზიკური პირის - ხვიჩა მაქაცარიას ფლობილი დარჩენილი წილი (51% - 32,506 აქცია). შედეგად ნასიბ ჰასანოვი გახდა შპს „კავკასუს ონლაინის“ საბოლოო ბენეფიციარი მაკონტროლებელი მფლობელი. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ეცნობა მოგვიანებით 2021 წლის მარტში. აღნიშნული გარემოება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაძლოა გამხდარიყო კომისიის მხრიდან შპს კავკასუს ონლაინის ავტორიზაციის შეჩერების პროცესის დაწყების საფუძველი.

20. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

გადასახადები

საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, ჯგუფის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და ჯგუფს დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. ჯგუფს მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. საქართველოს საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ ჯგუფის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

იურიდიული საკითხები

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს, როგორც მოპასუხეს არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

კოვენანტებთან შესაბამისობა

სს თიბისი ბანკისგან მიღებულ საკრედიტო პროდუქტებთან დაკავშირებით ჯგუფი ვალდებულია დააკმაყოფილოს გარკვეული ფინანსური და არაფინანსური კოვენანტები, მათ შორის:

ფინანსური კოვენანტები:

- შპს კავკასუს ონლაინის და მისი შვილობილი კომპანიების ჯამურმა სასესხო ვალდებულებებმა არ უნდა შეადგინოს non-cash შემოსავლების გარეშე საოპერაციო მოგების (EBITDA) 250%-ზე მეტი სესხის მიმდინარეობისას შენარჩუნებული უნდა იყოს სესხის მომსახურების შემდეგი კოეფიციენტები:
- P&L based DSCR მინიმუმ 1,2 დონეზე [DSCR (P&L based) იანგარიშება: (EBITDA-Maintenance CAPEX - დივიდენდი - მოგების გადასახადი (მათ შორის გრაფიკის მიხედვით გადასახდელი) - accrued revenues from IRU agreements))/(გრძელვადიან სესხებზე გადასახდელი ძირის პლუს გადასახდელი პროცენტები)].
- Free Cash-დან დათვლილი სესხის მომსახურების კოეფიციენტი უნდა იყოს მინიმუმ 1,1 დონეზე. [DSCR (CRFADS) იანგარიშება: (EBITDA - ცვლილება საბრუნავ კაპიტალში +IRU კონტრაქტებიდან ჩარიცხული თანხები) -Maintenance CAPEX - დივიდენდი - მოგების გადასახადი (მათ შორის გრაფიკის მიხედვით გადასახდელი))/(გრძელვადიან სესხებზე გადასახდელი ძირის პლუს გადასახდელი პროცენტები)].
- ყველა მონაცემის კალკულაცია უნდა მოხდეს კონსოლიდირებულად, შპს "კავკასუს ონლაინის", შპს "რკინიგზის ტელეკომის", Caucasus Cabel System bulgaria EOOD- ან/და რომელიმე მათგანის ყველა შვილობილი კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ მონაცემებზე დაყრდნობით.
- EBITDA იანგარიშება IFRS სტანდარტების მიხედვით, როგორც კომპანიის საოპერაციო მოგება, მოგების გადასახადის, საპროცენტო ხარჯების, ცვეთისა და ამორტიზაციის დაკლებამდე.
- "კომპანია ვალდებულია სესხის მიმდინარეობისას უზრუნველყოს ICR კოეფიციენტის შენარჩუნება მინიმუმ 3,0 დონეზე ICR კოეფიციენტი იანგარიშება როგორც კომპანიის საოპერაციო მოგება EBIT შეფარდებული კომპანიის მიერ პერიოდის მანძილზე გადასახდელ საპროცენტო ხარჯებთან".
- თუ კომპანია შეთანხმდება საგადასახადოსთან 2016 წლის მოგების გადასახადის გრაფიკით გადახდაზე ICR კოეფიციენტის კალკულაცია მოხდება როგორც კომპანიის საოპერაციო მოგება EBIT-ს გამოკლებული მიმდინარე პერიოდში გრაფიკით გადასახდელი გადასახადები და შეფარდებული კომპანიის მიერ პერიოდის მანძილზე გადასახდელ საპროცენტო ხარჯებთან.

არა-ფინანსური კოვენანტები:

- მსესხებელს ან მის ნებისმიერ შვილობილ კომპანიას არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე აიღოს სესხები, ასევე გააფორმოს ლიზინგი ჯამურად ან ცალ-ცალკე 100 ათას აშშ დოლარზე მეტი ოდენობით. ასევე, მსესხებელს ან მის ნებისმიერ შვილობილ კომპანიას არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე წლის განმავლობაში ჯამურად ან ცალ-ცალკე აიღოს ნებისმიერი რაიმე სხვა სახის ფინანსური ვალდებულება, რომელიც აღემატება 2,000 ათას აშშ დოლარს (მოიცავს კონსიგნაციით შეძენილ პროდუქციის ვალდებულებებს);
- მსესხებელს ან ნებისმიერ შვილობილ კომპანიას არ აქვს უფლება სს "თიბისი ბანკის" წერილობითი თანხმობის

20. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

- გარეშე დააგირაოს, ან რაიმე სახის ვალდებულების ქვეშ დატვირთოს საკუთარ ბალანსზე არსებული ქონება. ამასთან კომპანიას არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი თანხმობის გარეშე გასცეს რაიმე სახის ფინანსური თავდებობა;
- მსესხებელმა ან მისმა ნებისმიერმა შვილობილმა კომპანიამ სს "თიბისი ბანკის" წერილობითი თანხმობის გარეშე, არ უნდა გაასხვისოს ან შპს "კავკასუს ონლაინის" ბალანსიდან რაიმე სახით სხვაგან გადაიტანოს, იჯარით გასცეს თავის საკუთრებაში არსებული 1,000 ათას ლარზე მეტი ღირებულების (ცალ-ცალკე ან ჯამურად) ნებისმიერი ქონება ერთი კალენდარული წლის განმავლობაში (არ იგულისხმება ჩვეულებრივ საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული არხები და კოლოკაციის იჯარები);
 - მსესხებელმა ან მისმა ნებისმიერმა შვილობილმა კომპანიამ საბანკო ბრუნვების 75%, დებეტური ტრანზაქციების 95% და საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი ნაშტების 80% აწარმოოს/იქონიოს მხოლოდ სს "თიბისი ბანკში". გამოწვევის დაიშვება მხოლოდ სს "თიბისი ბანკთან" წერილობითი შეთანხმებით.
 - ასევე მსესხებელმა უნდა შეასრულოს 2013 წლის 29 დეკემბერს ბანკსა და შპს კავკასუს ონლაინს შორის გაფორმებული ექსკლუზიური საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების პირობები; ასევე მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს შპს რკინიგზის ტელეკომის მიერ 2013 წლის 29 დეკემბერს ბანკსა და შპს რკინიგზის ტელეკომს შორის გაფორმებული ექსკლუზიური საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესრულება
 - შპს "კავკასუს ონლაინმა", შპს "რკინიგზის ტელეკომმა" და CCSB-მ არ უნდა განახორციელონ/აიღონ განხორციელების ვალდებულება კაპიტალური ინვესტიციები ფიქსირებულ ან სხვა გრძელვადიან აქტივებში ბანკის თანხმობის გარეშე თუ:
 - 1) აღნიშნული ინვესტიციები არ არის გათვალისწინებული ბიზნეს გეგმაში ან/და
 - 2) აღნიშნული ინვესტიციების განხორციელებით წლის განმავლობაში და განსახორციელებელი ჯამური კაპიტალური დანახარჯები აღემატება 3 მლნ აშშ დოლარს ან/და
 - 3) აღნიშნული ინვესტიციების განხორციელების შემთხვევაში დაირღვევა DSCR-ის მინიმალური მოთხოვნა/კოვენანტი;
 - მსესხებელს ან მის ნებისმიერ შვილობილ კომპანიას არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე გასცეს სესხები ჯამურად ან ცალ-ცალკე 500 ათას ლარზე მეტი ოდენობით;
 - სესხის/გარანტიის მოქმედების პერიოდში, სამეწარმეო რეესტრის ამონაწერში საგადასახადო გირავნობის ან ინკასოს გაჩენის შემთხვევაში, სამეწარმეო რეესტრის ამონაწერში საგადასახადო გირავნობის ან ინკასოს გაჩენის შემთხვევაში, გარდა მიმდინარე მდგომარეობით არსებული საგადასახადო გირავნობისა, მსესხებელი ან მისი ნებისმიერი შვილობილი კომპანია ვალდებულია, უზრუნველყოს მისი მოხსნა 30 კალენდარული დღის განმავლობაში;
 - მსესხებელს ან მის ნებისმიერ შვილობილ კომპანიას არ აქვს უფლება სს "თიბისი ბანკის" თანხმობის გარეშე გასცეს დივიდენდები;
 - მსესხებელს ან მის ნებისმიერ შვილობილ კომპანიას არ აქვს უფლება, სესხის მოქმედების პერიოდში, გააფორმოს რაიმე სახის შეთანხმება 300 ათას ლარზე ან მეტ თანხაზე (ცალკე ან ჯამურად), გარდა იმ შეთანხმებებისა, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ჩვეულებრივ საოპერაციო საქმიანობასთან და ასევე არ არის დაკავშირებული არაკეთილსინდისიერ გარიგებასთან, არ გულისხმობს მსესხებელის ან მისი ნებისმიერი შვილობილი კომპანიის მიერ საბაზრო ფასთან შედარებით მეტი თანხის გადახდას ან საბაზრო ფასთან შედარებით ნაკლები თანხის მიღებას;
 - მსესხებელი ვალდებულია ნებისმიერ დაკავშირებულ პირთან არასაოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებით, ნებისმიერი გარიგება დადოს მხოლოდ ბანკის წინასწარი თანხმობის არსებობის შემთხვევაში.
 - მსესხებელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს, რომ შპს "რკინიგზის ტელეკომმა" და CCSB EOOD-მა ნებისმიერ დაკავშირებულ პირთან ნებისმიერი გარიგება დადოს მხოლოდ ბანკის წინასწარი თანხმობის არსებობის შემთხვევაში.
 - სს "თიბისი ბანკის" წერილობითი თანხმობის გარეშე მსესხებელს ან მის ნებისმიერ შვილობილ კომპანიას არ აქვს უფლება, სესხის მოქმედების პერიოდში, გააფორმოს რაიმე სახის შეთანხმება, რომელიც დაკავშირებულია მსესხებელის ან მისი ნებისმიერი შვილობილი კომპანიის მოგების/შემოსავლების მესამე პირებთან გადანაწილებასთან;
 - მსესხებელს ან მის ნებისმიერ შვილობილ კომპანიას არ აქვს უფლება ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე განახორციელოს საწესდებო კაპიტალის შემცირება;
 - მაგთიკომთან კონტრაქტის გაწყვეტის შემთხვევაში, მაგთიკომისგან მისაღები თანხა სრულად უნდა მიემართოს თიბისი ბანკში არსებული ვალდებულების დასაფარად;
 - კავკასუს ონლაინიდან, რკინიგზის ტელეკომიდან, კავკასუს კაბელ ბულგარეთიდან და სხვა შვილობილი კომპანიებიდან ბანკის წერილობითი თანხმობის გარეშე არ უნდა გავიდეს დივიდენდი და არ განხორციელდეს კაპიტალური დანახარჯები;

2020 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფი ვერ აკმაყოფილებს კოვენანტების მნიშვნელოვან მოთხოვნებს, ხელშეკრულების პირობების თანახმად სს თიბისი ბანკს ნებისმიერ დროს შეუძლია გაცემული სესხის უკან მოთხოვნა, მიღებული სესხის გრძელვადიანი ნაწილი წარდგენილია, როგორც მოკლევადიანი.

შპს კავკასუს ონლაინი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მოთხოვნებთან შესაბამისობა

კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილებით, 2021 წლის 15 აპრილს „კავკასუს ონლაინის“ სპეციალური მმართველი მარიამ სულაბერიძე თამარ ბოკუჩავამ შეცვალა.

2021 წლის 20 მაისის კომუნიკაციების კომისიამ „კავკასუს ონლაინი“ სამართალდამრღვევად კიდევ ერთხელ სცნო და კომპანიას უკანონოდ გასხვისებული 100%-იანი წილის პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნება დაავალდებულა, რისთვისაც სამთვლიანი ვადა განუსაზღვრა, ხოლო ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლა.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღისთვის ინფორმაცია აღნიშნულ მოთხოვნებთან დაკავშირებით არ არის განახლებული კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვებ გვერდზე.

სასესხო ხელშეკრულებების კოვენანტებთან შესაბამისობა

ჯგუფმა საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მოიპოვა ბანკის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ბანკი აცხადებს, რომ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მოთხოვნების დარღვევის შედეგად, არ გამოიყენებს მე-20 შენიშვნაში აღწერილ შეზღუდვებს ჯგუფის მიმართ.

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც ჯგუფი ფუნქციონირებს. ამგვარად, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ჯგუფის წარსადგენი ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაინაგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

Caucasus Cable System Bulgaria LLC-ის ფუნქციონალური ვალუტა არის ბულგარული ლევი, რომელიც განსხვავდება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტისგან (ქართული ლარი). ბასს 21-ის (უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები) მიხედვით სამუშაო ვალუტის ნაცვლად წარსადგენ ვალუტად სხვა ვალუტის გამოყენების შემთხვევაში აქტივები და ვალდებულებები თითოეული წარდგენილი ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისათვის (ე.ი. შესადარისი მონაცემების ჩათვლით) გადაინაგარიშება ამ ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებული საბოლოო სავალუტო კურსით. შემოსავალი და ხარჯები თითოეული კონსოლიდირებული ანგარიშგებისთვის, სადაც წარდგენილია კონსოლიდირებული სრული შემოსავალი წლის განმავლობაში არსებული საშუალო სავალუტო კურსით, ხოლო გადაანგარიშების შედეგად წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო და მოგება-ზარალის გადაანგარიშებისთვის გამოყენებული საშუალო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი		
	ბულგარული ლევი	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	2.0570	3.2766	4.0233
2020 წლის საშუალო კურსი	1.8160	3.1097	3.5519
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	1.6410	2.8677	3.2095
2019 წლის საშუალო კურსი	1.6132	2.8192	3.1553

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. ჯგუფის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება ჯგუფის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან, ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

მიმდინარე და გრძელვადიანი სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. ჯგუფი საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი.

სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით. გაუფასურების რეზერვის ცვლილება აღიარებულია ხარჯად სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. ჯგუფი სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს გაცემულ სესხებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, საიჯარო მოთხოვნებსა და ფული და ფულის ეკვივალენტებს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის ჯგუფიდან გასვლა; ან (ii) ჯგუფი არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ოპერაციის მიზნიდან გამომდინარე ჯგუფი ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. ჯგუფს ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს, საიჯარო ვალდებულებებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს,

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს გარიგების საწყის ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

ჯგუფი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს გზაში, დეპოზიტებს და ფასიან ქალაქებს, რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი სახელშეკრულებო დატვირთვებისგან.

ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები, რომელთა გამოყენება საანგარიშგებო პერიოდიდან მიწმომდინარე თორმეტი თვის განმავლობაში შეზღუდულია სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების საგარანტიოდ, კლასიფიცირდება როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სხვის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებების არსებით ნაწილს შეიძლება ძირითადი საშუალებებისგან განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის მეთოდები ჰქონდეს. ამგვარი ნაწილები აღირიცხება ცალკე.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფის საკუთრებაში არსებულ მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება.

ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	25
სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა	15
წყალქვეშა ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი და აღჭურვილობა	25
დანადგარები და ოფისის აღჭურვილობა	5

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და კორექტირდება თუ ამის საჭიროება არსებობს. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა ამოწმებს ძირითად საშუალებებს გაუფასურებაზე. თუ არსებობს ამის ნიშნები ხელმძღვანელობა აფასებს ანაზღაურებად ღირებულებას,

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

რომელიც განისაზღვრება, როგორც აქტივის რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით.

ნარჩენი ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

აქტივის გაუფასურების ზარალის კომპენსირება დაუყოვნებლივ აღიარდება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ მოცემული აქტივი აღრიცხული არ არის გადაფასებული ღირებულებით ბუღალტრული აღრიცხვის სხვა საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება ძირითადი საშუალების გაყიდვიდან ან გასვლიდან აღიარდება შესაბამისი პერიოდის სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ამორტიზაციასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ჯგუფი ფლობს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატურ საფუძველზე, წრფივი მეთოდით. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა გადაიხედება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს და კორექტირდება თუ ამის საჭიროება არსებობს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება, გარდა მარაგებისა

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ჯგუფი გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები. სავაჭრო ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯებში. ნეტო (წმინდა) სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. ჯგუფი ყველა სახის მარაგის ჩამოწერისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც ჯგუფი გამოაცხადებს დივიდენდს. მოგების გადასახადით დაბეგვრა ხდება მოგების განაწილების დროს. საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს 15%-ს. მოგების გადასახადით ხდება არა წლიური შედეგების, არამედ ყოველთვიური შედეგის დაბეგვრა.

22. მნიშვნელოვანი საარიცხოვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. 2008 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში დაგროვილი მოგება, რომლისთვის გადახდილია მოგების გადასახადი, არ ექვემდებარება განმეორებით დაბეგვრას.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდეზე.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, საწარმოთა ჯგუფში შემავალი ერთი საწარმოს მიმდინარე საგადასახადო აქტივის ჩათვლა მეორე საწარმოს საგადასახადო ვალდებულების მეშვეობით შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც საწარმოებს კანონმდებლობით აქვთ მინიჭებული მხოლოდ ერთი წმინდა გადასახადის მიღების ან გადახდის უფლება და საწარმოებში საგადასახადო აქტივის ანაზღაურებასა და საგადასახადო ვალდებულების დაფარვას ერთდროულად ახორციელებენ. შესაბამისად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ჯგუფში შემავალი სხვადასხვა საწარმოს საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები წარდგენილი არ არის ურთიერთგადახურვის საფუძველზე.

სახელშეკრულებო აქტივი

მომწოდებლისთვის წინასწარ გადახდილი თანხები, ვიდრე ჯგუფი მიიღებს საქონელს ან მომსახურებას, აღიარდება როგორც სახელშეკრულებო აქტივი. სახელშეკრულებო აქტივი არის საწარმოს აქტივი, მომწოდებლისგან მიიღოს საქონელი ან მომსახურება, რისთვისაც საწარმოს გადახდილი აქვს შესაბამისი ანაზღაურება.

აქტივის შესაძენად წინასწარ გადახდილი თანხები აღიარებულია აქტივად მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია ამ აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა. სხვა გაცემული ავანსები ჩამოიწერება იმ პერიოდის მოგება-ზარალში, როდესაც ჯგუფი მიიღებს საქონელს ან მომსახურებას, რომლისთვისაც გადახდილი იყო აღნიშნული ავანსი. თუკი არსებობს რისკი, რომ ჯგუფმა გადახდილი ავანსიდან ეკონომიკური სარგებელი ვერ მიიღოს, ავანსი ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება მიმდინარე წლის კონსოლიდირებულ მოგება-ზარალში.

კაპიტალი

ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება, როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შეუზღუდავი გამოყენების უფლება

შეუზღუდავი გამოყენების უფლების (IRU) შეთანხმებები ძირითადად დაკავშირებულია სპეციფიკური ინფრასტრუქტურის შეძენას და/ან რეალიზაციისთან, განათების ოპტიკურ-ბოჭკოვანი სიმძლავრის შეძენას და/ან რეალიზაციასთან და ქსელის ინფრასტრუქტურის ან განათების ბოჭკოვანი სიმძლავრის გაცვლასთან. ასეთი შეთანხმებები აღირიცხება, როგორც იჯარები, მომსახურების კონტრაქტები ან ნაწილობრივ, როგორც იჯარა და ნაწილობრივ, როგორც მომსახურების კონტრაქტი. შესაბამისი კლასიფიკაციის დადგენა დამოკიდებულია ხელშეკრულების მახასიათებლების შეფასებაზე.

ქსელის სიმძლავრის ხელშეკრულება აღირიცხება, როგორც იჯარა მაშინ, როდესაც:

- მყიდველს აქვს ექსკლუზიური უფლება ქსელის კონკრეტულ მოცულობაზე განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში და აქვს შესაძლებლობა გადაყიდოს (ან იჯარით გასცეს) იგი;

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- სიმძლავრე არის ფიზიკურად შეზღუდული და განსაზღვრული;
- მყიდველი პასუხისმგებელია ყველა დანახარჯზე რაც პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებულია ქსელის სიმძლავრესთან, საოპერაციო, ადმინისტრაციული და შენარჩუნების ხარჯების ჩათვლით; და
- ხელშეკრულების ვადის განმავლობაში მყიდველი ფლობს მოძველების რისკს.

თუ ყველა აღნიშნული კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია, შეუზღუდავი გამოყენების უფლების შეთანხმება არ ითვლება მომსახურების კონტრაქტად.

შეუზღუდავი გამოყენების უფლების ხელშეკრულებებისთვის 15-20-წლიანი მოქმედების ვადით, სადაც ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ქსელის ტექნიკური მომსახურების ვალდებულების და დაკავშირებული ამონაგების რისკი ეკუთვნის ჯგუფს. ჯგუფი მყიდველისგან წინასწარ მიღებულ ნებისმიერ თანხას აღიარებს, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულება. გარდა ამისა, ჯგუფი აფასებს მოცემული გარიგების ფასს დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტის გათვალისწინებით, ფასს 15-ის შესაბამისად და აღიარებს შესაბამის საპროცენტო ხარჯს მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

ჯგუფის მიერ დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტის ეფექტი აისახება გარიგების ფასის შეფასებაში, როგორც მიღებული ავანსის კორექტირება 6.71%- 7.6%-იანი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელსაც ხელშეკრულების მოქმედების დაწყებისას გამოიყენებდნენ საწარმო და მისი მომხმარებელი განცალკევებული დაფინანსების ოპერაციაში.

თუ იჯარის ვადა მოიცავს აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის მნიშვნელოვან ნაწილს, ამ შემთხვევაში განიხილება, როგორც რეალიზაცია და აღირიცხება ფასს 15-ის მოთხოვნების შესაბამისად, სხვა შემთხვევაში ტრანზაქცია განიხილება, როგორც საოპერაციო იჯარა და აღირიცხება ფასს 16-ის მოთხოვნების შესაბამისად.

სახელშეკრულებო ვალდებულება

მომხმარებლისგან წინასწარ მიღებული თანხები აღიარდება, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულება. სახელშეკრულებო ვალდებულება არის საწარმოს ვალდებულება, მომხმარებელს გადასცეს საქონელი ან მომსახურება, რისთვისაც საწარმომ მომხმარებლისგან მიიღო შესაბამისი ანაზღაურება.

შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა

ჯგუფი აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც ჯგუფი მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. ჯგუფი იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შესრულებს.

ჯგუფი შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც მომხმარებელს გადაეცემა “კონტროლი” შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე.

სახელშეკრულებო ღირებულების განსაზღვრა

ჯგუფის შემოსავლის ძირითადი სახელშეკრულებო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

ჯგუფის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს მომხმარებლების სატელეკომუნიკაციო მომსახურებებით უზრუნველყოფა. დეტალური სააღრიცხვო პოლიტიკა შემოსავლის მაფორმირებელი ძირითადი საქმიანობისთვის წარმოდგენილია ქვემოთ.

ფასები თითოეული მომსახურების მიხედვით ფიქსირებულია და არ მოიცავს მომსახურების სარეალიზაციო ფასის გადანაწილებისას შეფასების ელემენტს.

როდესაც მომხმარებელი ახდენს ერთზე მეტი სახეობის მომსახურების შესყიდვას, ჯგუფს შეუძლია მარტივად მოახდინოს სარეალიზაციო ფასების მკვეთრი გამიჯვნა კონტრაქტის ფარგლებში მომსახურების ცალკე აღებული სარეალიზაციო ფასების მიხედვით.

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გამოყენებული გათავისუფლება

ჯგუფმა გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

შემოსავალი აღიარდება სხვადასხვა ტიპის მომსახურების გაწევიდან:

- თვითრი გამოწერის საფასური აღიარდება შემოსავლად მაშინ, როდესაც ხდება მომსახურების გაწევა. მომსახურების საფასურის გადახდა ხდება ყოველთვიურად ინტერნეტ მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება შემოსავლად მაშინ, როდესაც ხდება მომსახურების გაწევა საბოლოო მომხმარებლისთვის. მომსახურების საფასურის გადახდა ხდება ყოველთვიურად მომსახურების პაკეტებზე ჯგუფი ინდივიდუალურ მომსახურებებს ცალ-ცალკე აღრიცხავს, თუ ისინი განსხვავებულია, რაც გულისხმობს, რომ მომსახურება განცალკევებით იდენტიფიცირებადია მომსახურების პაკეტში შემავალი ერთეულებისგან და მომხმარებელს შეუძლია მისგან სარგებლის მიღება. გადასახდელი თანხა ნაწილდება მომსახურების პაკეტში ცალკე მომსახურებებზე, მათი ინდივიდუალურად განსაზღვრული გასაყიდი ფასების საფუძველზე.
- ადგილობრივი და საერთაშორისო ზარებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება დამოკიდებულია ზარების ხანგრძლივობაზე. შემოსავალი აღიარდება საერთაშორისო და ადგილობრივი ოპერატორებისთვის გაწეული მომსახურების სანაცვლოდ მათ მიერ წამოწყებული ზარების რომელიმე ადგილობრივ ან საერთაშორისო ქსელში დასრულებისას, გამოყენებული წუთებისა და მომსახურებები სახელშეკრულებო საფასურის საფუძველზე. მომსახურების საფასურის გადახდა ხდება ყოველთვიურად.
- ურთიერთჩართვის მომსახურებაზე წვდომასთან დაკავშირებული მოსაკრებელი გამომუშავდება სხვა სატელეკომუნიკაციო ოპერატორებისგან ჯგუფის ქსელში შეწყვეტილი ტრაფიკის საფუძველზე. შემოსავლის აღიარება ურთიერთჩართვიდან ხდება მომსახურებების გაწევის დროს. ურთიერთჩართვის მომსახურებების გადახდა ხდება ყოველთვიურად.
- მოცულობისა და ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის შეუზღუდავი გამოყენების უფლების გადაცემა (დეტალები იხილეთ - შეუზღუდავი გამოყენების უფლება)

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ ჯგუფი განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება

მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების კრიტერიუმების ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

ხელფასები და ხელფასთან დაკავშირებული განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო ჯგუფმა დასაქმებულისგან.

ჯგუფი როგორც მოიჯარე

ჯგუფი იყენებს ფასს 16-ს 2019 წლის 1 იანვრის თარიღიდან. ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა რელევანტურია 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშო პერიოდებისთვის.

იჯარის იდენტიფიკაცია

ხელშეკრულების დაწყებისას ჯგუფი აფასებს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ჯგუფი აფასებს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა შემდეგი ორივე უფლება:

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთლიანი სარგებლის მიღების უფლება და
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება როგორც:

- აქტივი, რომელიც წარმოადგენს იჯარის ვადის განმავლობაში, იჯარის ობიექტის გამოყენების უფლებას და
- ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ

არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად არის შესაძლებელი. თუ ეს შეუძლებელია, გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი. საიჯარო ვალდებულების შეფასებაში ცვლადი საიჯარო გადახდები მონაწილეობს იმ მოცულობით, რა მოცულობითაც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე. ცვლადი საიჯარო გადახდები თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დაწყების თარიღის მდგომარეობით ამ ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით. სხვა ცვლადი საიჯარო გადახდები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელსაც ისინი მიეკუთვნება.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფის ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის მოიცავს:

- თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას;
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმებს, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას;

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ჯგუფი აქტივის გამოყენების უფლებას აფასებს თვითღირებულებით. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას,
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

შემდგომი შეფასება

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივის გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით. თუ საიჯარო ხელშეკრულების თანახმად საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება იჯარის ვადის დასრულებისას მოიჯარეს გადაეცემა, ან აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს მოიჯარის განზრახვას, რომ ის გამოიყენებს აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, აქტივს ცვეთა უნდა დაერიცხოს იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ ჯგუფი ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი აღიარდება მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

თუ შეიცვალა თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის პირობის ფარგლებში ან შეიცვალა მომავალი საიჯარო გადახდები იმის გამო, რომ შეიცვალა ამ გადახდების განსაზღვრისთვის გამოსაყენებელი ინდექსი ან განაკვეთი, საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება იჯარის ვადის დასაწყისში განსაზღვრული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საიჯარო გადახდების ცვლილება გამოწვეულია ცვლადი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით.

როცა ჯგუფი ახდენს იჯარის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიკაციას, ამ შემთხვევაში, აღრიცხვა დამოკიდებულია მოდიფიკაციის შინაარსზე:

- იჯარის მოდიფიკაცია აისახება, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება იჯარის გამოყენების სფერო და იჯარის ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი ანაზღაურებით.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჯარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო, მცირდება აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, მოგება/ზარალში აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტასთან; საიჯარო ვალდებულება შემდგომში კორექტირდება იმგვარად, რომ მისმა საბალანსო ღირებულებამ ასახოს მოდიფიცირებული საიჯარო გადასახდელები მოდიფიცირებული ვადის განმავლობაში, რომლებიც დადისკონტირებულია მოდიფიკაციის თარიღისთვის არსებული განაკვეთით. ასეთ დროს, აქტივის გამოყენების უფლებაც შესაბამისი თანხით კორექტირდება.

ჯგუფი არასაიჯარო კომპონენტებს არ გამოაცალკევებს საიჯარო კომპონენტებისგან და ამის ნაცვლად თითოეული საიჯარო კომპონენტი და მასთან დაკავშირებული არასაიჯარო კომპონენტი აღრიცხება, როგორც ერთი საიჯარო კომპონენტი.

იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება, შემდეგ პერიოდებთან ერთად: ა) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მათ შორის მიღებული საქმიანი პრაქტიკით გამყარებული), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და ბ) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, ჯგუფი განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. ჯგუფი ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე

22. მნიშვნელოვანი საარიცხოვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას.

ზღვრული სასესხო განაკვეთი

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის, საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საიჯარო გადახდების განსაზღვრა

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულ ჩანაწერს) იჯარის განახლების/ გაგრძელების შესახებ. ზემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. ჯგუფი ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

მოკლევადიანი იჯარა და გრძელვადიანი იჯარა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს

ჯგუფმა გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებაში გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ჯგუფიდ ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობაზე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან არ არის მოსალოდნელი.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს ჯგუფის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად და რომლის დაფარვა გამოიწვევს ჯგუფიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფს არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები.

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- (ა) გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- (ბ) კანონმდებლობიდან; ან
- (გ) სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს ჯგუფის ქმედებიდან, სადაც:

- (ა) წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, ჯგუფის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე კონსოლიდირებული ანგარიშგებიდან გამომდინარე, ჯგუფი მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- (ბ) შედეგად, მესამე მხარეს ჯგუფთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

შპს „კავკასუს ონლაინ“ და შვილობილი კომპანიები

2020 წელი

სარჩევი

1.	ჯგუფის შესახებ.....	49
2.	სეგმენტები და მისი ძირითადი მოთამაშეები	50
3.	შპს კავკასუს ონლაინის და შვილობილი კომპანიების შიდა სტრუქტურა	53
4.	ჯგუფის მიერ განხორციელებული შემუშავებებისა და დაკვირვებების მიმოხილვა	55
5.	დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	55
6.	საკანონმდებლო და სხვა რეგულაციები	55
7.	ჯგუფის სტრატეგია და მიზნები	57
8.	ჯგუფის ფინანსური მონაცემები	58
9.	ჯგუფის ძირითადი რისკები.....	60
10.	კავკასუს ონლაინის და შვილობილი კომპანიების თანამშრომლები	61

შპს „კავკასუს ონლაინი“ და შვილობილი კომპანიები

1. ჯგუფის შესახებ

1.1 ორგანიზაცია

შპს „კავკასუს ონლაინი“ (შემდგომში „კომპანია“ ან „კავკასუს ონლაინი“) წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის“ შესაბამისად დაარსებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას და მისი საიდენტიფიკაციო ნომერია 211380833.

შპს „კავკასუს ონლაინი“ დაფუძნდა 1998 წლის 19 ნოემბერს. „კომპანიის“ რეგისტრირებული ოფისი მდებარეობს შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი 0112, წინამძღვრიშვილის ქ. №160.

ა) მფლობელები და შვილობილი კომპანიები (შემდგომში ჯგუფი)

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „კავკასუს ონლაინის“-ს მესაკუთრეები არიან „ინტერნეიშენელ ონლაინ ნეტვორქს ლიმიტიდ“ (International Online Networks Ltd.), ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული კომპანია, რომელიც ფლობს კომპანიის 63.8%-ს და „ნელგადო ლიმიტედი“ (Nelgado Ltd), ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული კომპანია, რომელიც კომპანიაში 36.2%-იანი წილის მფლობელია.

შპს „კავკასუს ონლაინის“ წინამდებარე მმართველობითი ანგარიშგების გამოშვების მდგომარეობით ფილიალები არ გააჩნია.

შპს კავკასუს ონლაინის შვილობილი საწარმოები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- შპს „კავკასუს ქეიბლ სისტემ ბულგარია“ (Caucasus Cable System Bulgaria LLC)
- ნოვასტარ კომერს ლიმიტედი (Novastar Commerce Limited)
- შპს „კავკასუს ონლაინი თიზ“ (Caucasus Online TIZ LLC)
- შპს „კარდენახი“ (Kardenakhi LLC)
- შპს „კავკასუს ქეიბლ ტრანზიტ“ (Caucasus Cable Transit LLC)
- შპს „კავკასუს ქეიბლ სისტემ არმენია“ (Caucasus Cable System Armenia LLC)

2008 წელს შპს „კავკასუს ონლაინმა“ დაარსა შპს „Caucasus Cable System Bulgaria“ და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „კავკასუს ონლაინი“ წარმოადგენს შპს „Caucasus Cable System Bulgaria“-ს 100%-იანი წილის მფლობელ კომპანიას. მისი დაარსების იურიდიული საჭიროება გამოიწვია ბულგარეთის ტერიტორიაზე საზღვაო კაბელის და საბაზო სადგურის არსებობამ. შპს „Caucasus Cable System Bulgaria“ ამჟამად ახორციელებს ინტერნეტ ტრაფიკისა და ტრანზიტის შემენას ევროპაში და მის შემდგომ გადაყიდვას საქართველოში და საქართველოს გავლით მეზობელ ქვეყნებში.

ასევე, 2016 წელს შპს „კავკასუს ონლაინმა“ მასთან აფილირებული პირისგან („ნელგადო ლიმიტედი“) შეიძინა Novostar Commerce LTD-ის 100% წილი, რომელიც წარმოადგენს შპს „რკინიგზის ტელეკომის“ 100% წილის მფლობელ კომპანიას. შპს „რკინიგზის ტელეკომი“ ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე ინტერნეტ არხების ტრანზიტს აზერბაიჯანის, სომხეთის და ასევე თბილისის და სხვა საქართველოს ქალაქების საზღვრებამდე.

კომპანიები - შპს „კავკასუს ონლაინ თიზი“, შპს „კავკასუს ქეიბლ ტრანზიტ“, შპს „კარდენახი“ და შპს „კავკასუს ქეიბლ სისტემ არმენია“ საოპერაციო საქმიანობას არ ახორციელებენ.

ბ) ბოლო ბენეფიციარი მესაკუთრეები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „კავკასუს ონლაინის“ ბოლო ბენეფიციარი მესაკუთრე არის ნასიბ ჰასანოვი (აზერბაიჯანის მოქალაქე), რომელიც წარმოადგენს „კავკასუს ონლაინის“ პირდაპირ/არაპირდაპირ 100% წილის მფლობელ ბენეფიციარ მესაკუთრეს.

ბოლო ბენეფიციარი მესაკუთრის მიერ შპს „კავკასუს ონლაინის“ წილის ფლობა დასტურდება შემდეგი გარემოებებიდან:

შპს „კავკასუს ონლაინი“ და შვილობილი კომპანიები

1. ჯგუფის შესახებ (გაგრძელება)

კავკასუს ონლაინის კაპიტალში 100% წილის პირდაპირ/არაპირდაპირ მფლობელი პარტნიორის „ნელგადო ლიმიტედის“ (Nelgado Ltd) წილის მფლობელია „ვეკო ინვესტმენტ ენდ ფაინანს ეს ეი“ (Weco Investments and Finance S.A., ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული კომპანია); „ვეკო ინვესტმენტ ენდ ფაინანს ეს ეი“ 100% წილის მფლობელი პარტნიორი არის HARRIMAN HOLDINGS LTD, რომელიც „ვეკო ინვესტმენტ ენდ ფაინანს ეს ეიში“ წილებს ფლობს ნასიბ ჰასანოვის სასარგებლოდ ტრასტის საფუძველზე.

ნასიბ ჰასანოვი კავკასუს ონლაინის ბოლო ბენეფიციარი მესაკუთრე გახდა ხვიჩა მაქაცარიასა და „ვეკო ინვესტმენტ ენდ ფაინანს ეს ეი“ შორის განხორციელებული გარიგების საფუძველზე, რომლის თანახმადაც: 2019 წელს „ვეკო ინვესტმენტ ენდ ფაინანს ეს ეი“ გადაეცა „ნელგადო ლიმიტედში“ ხვიჩა მაქაცარიას კუთვნილი 31,230 ჩვეულებრივი აქცია (დაახლოებით 49%), ხოლო 2020 წელს გადაეცა „ნელგადო ლიმიტედში“ ხვიჩა მაქაცარიას კუთვნილი აქციების დარჩენილი ოდენობა, 32,506 ჩვეულებრივი აქცია (დაახლოებით 51%). საბოლოოდ „ვეკო ინვესტმენტ ენდ ფაინანს ეს ეი“ გახდა „ნელგადო ლიმიტედის“ აქციების 100% (63,736 აქცია) მესაკუთრე.

1.2 ჯგუფის ბიზნესის პროფილი

კავკასუს ონლაინის ჯგუფი საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი უდიდესი ჯგუფია, რომელიც ქვეყნის უმსხვილეს და მცირე პროვაიდერებს სთავაზობს შემდეგ სერვისებს:

1. საბითუმო ინტერნეტის ტრანზიტს ევროპის უდიდესი ქსელიდან (სოფია, ფრანკფურტი) საქართველოს და მის საზღვრებთან არსებულ წერტილებამდე
2. თანალოკაციის მომსახურება
3. დომენური .GE ზონის ექსკლუზიური ადმინისტრატორი
4. Voice ტრანზიტი

2. სეგმენტები და მისი ძირითადი მოთამაშეები

2.1 საბითუმო ინტერნეტ სეგმენტი

საბითუმო ინტერნეტ სეგმენტი იყოფა ორ ძირითად სერვისად ინტერნეტ ტრაფიკის ტრანზიტი (ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვება) და საკომუნიკაციო არხის მიწოდება (ციფრული არხით მომსახურება) „ა“ წერტილიდან „ბ“ წერტილამდე.

საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებს სულ რამოდენიმე ინტერნეტის გლობალურ რესურსებთან დაშვების მომსახურების მიწოდებელი (*შემდგომში „ინტერნეტი“*) საბითუმო ოპერატორი, მათ შორის, შპს „კავკასუს ონლაინი“ არის ერთადერთი ოპერატორი, რომელიც თურქეთის და რუსეთის გზის ავლით პირდაპირ შავი ზღვის ნეიტრალურ წყლების გავლით ახორციელებს გლობალური ინტერნეტ რესურსებით მომსახურების მიწოდებას. ამ უნიკალური სატრანზიტო ინფრასტრუქტურის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ კაბელი მოთავსებულია შავი ზღვის ფსკერზე და ამით ის დაცულია გარეშე რისკებისგან. ეს კავშირი წარმოადგენს უმოკლეს გზას საქართველოდან ევროპულ ინტერნეტამდე.

გარდა ამ ქსელისა შავ ზღვაში სს „ფოტონეტს“ გააჩნია 1996 წელს ექსპლუატაციაში შესული ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელი სოჭი-ნოვოროსისკი-ფოთის მიმართულებით. რუსეთის ინტერნეტ ქსელზე მოთხოვნა არის შეზღუდული და ვერ ანაცვლებს სრულად ევროპულ ინტერნეტის ქსელს. დანარჩენ ორ კომპანიას, კერძოდ, შპს „დელტაკომს“ და სს „სილქნეტს“ გააჩნია მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული (შპს „რკინიგზის ტელეკომის“ ანალოგიურად) ხმელეთის ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურა, რომელიც აკავშირებს თურქეთის და რუსეთის ინტერნეტ ქსელებს ადგილობრივებთან.

საბითუმო ბაზრის სეგმენტი შეიძლება დაიყოს ლოკალურ და საერთაშორისო ბაზრებად. როგორც ადგილობრივ, ასევე, საერთაშორისო ბაზრებზე კომუნიკაციების კომისიის ვებ გვერდზე გამოქვეყნებული ბოლო ინფორმაციით გაყიდვებით ლიდერობდა შპს „კავკასუს ონლაინი“. მთავარ კონკურენტებს ლოკალურ ბაზარზე წარმოადგენს სს „სილქნეტი“ და სს „ფოტონეტი“, ხოლო საერთაშორისო ბაზარზე „როსტელეკომი“ და „თურქ ტელეკომი“.

შპს „კავკასუს ონლაინ“ და შვილობილი კომპანიები

2. სეგმენტები და მისი ძირითადი მოთამაშეები (გაგრძელება)

ადგილობრივი ბაზრის წილების მონაცემები* მოცემულია ქვედა ცხრილში:

კომპანია	Q1 16	Q2 16	Q3 16	Q4 16	Q1 17	Q2 17	Q3 17	Q4 17	Q1 18	Q2 18	Q3 18	Q4 18
ფოპტნეტი	12 %	15 %	15 %	14 %	13 %	13 %	13 %	11 %	11 %	10 %	10 %	10 %
კავკასუს ონლაინ /მაგთიკომი	40 %	41 %	40 %	42 %	40 %	43 %	43 %	51 %	53 %	51 %	55 %	55 %
დელტა კომი	6 %	6 %	6 %	6 %	7 %	8 %	4 %	3 %	3 %	3 %	1 %	10 %
სილქნეტი	41 %	38 %	39 %	37 %	40 %	36 %	41 %	35 %	34 %	36 %	34 %	34 %
სულ	100 %	100 %	100 %	100 %	100 %	100 %	100 %	100 %	100 %	100 %	100 %	100 %

წყარო: <https://gncc.ge/ge/legal-acts/solutions/2019--19-9-285.page>

(*) - ცხრილში არსებული მონაცემები კომუნიკაციების კომისიის ინფორმაციაზე დაყრდნობით, 2020 წლის 31 დეკემბრის მდომარეობით არის საბოლოო.

რაც შეეხება გლობალურ ბაზრებს, ჯგუფი წარმოდგენილია ბულგარეთის, სომხეთის და აზერბაიჯანის ბაზრებზე.



სურათზე წარმოდგენილია ჯგუფის ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის დაფარვის ზონა.

შპს „კავკასუს ონლაინი“ და შვილობილი კომპანიები

2. სეგმენტები და მისი ძირითადი მოთამაშეები (გაგრძელება)

2.2 თანალოკაცია

თანალოკაციის ფართის უზრუნველყოფა არის ის დამატებითი ღირებულების სერვისი რომელსაც ჯგუფი სთავაზობს ყველა დაინტერესებულ პირს როგორც წვრილ ასევე მსხვილ მოთამაშეებს. ეს სერვისი არის დამოკიდებული თუ რამდენად უზრუნველყოფილი და დაცულია ყველა ის პირობა რაც მოთხოვნილია ITU -ს სტანდარტებით.

დღეს დღეობით ჯგუფი ემსახურება სულ რამოდენიმე მსხვილ კლიენტს, როგორებიც არიან ბანკები, სამედიცინო დაწესებულებები და ვიდეო სტრიმინგის მიმართულების სერვისის პროვაიდერები. ეს ბიზნეს მიმართულება არის საკმაოდ პერსპექტიული და აქტუალური გამომდინარე იქიდან რომ ყოველდღიურად იზრდება მოთხოვნა ქლაუდ სერვისებზე მთელ მსოფლიოში. ამ მიმართულებით საქართველოს გააჩნია ახლო მომავალში იმის სტრატეგიული ამბიცია, რომ ჩამოყალიბდეს, როგორც მონაცემთა გაცვლის გეოგრაფიულ ცენტრად (ჰაბად) გლობალური კომპანიების მოსაზიდად. ეს ბიზნეს სეგმენტი არის დამოკიდებული მრავალ ტექნოლოგიურ და პოლიტ-ეკონომიურ ფაქტორზე. აქედან გამომდინარე, რთულია პროგნოზირება, თუ როგორ გაიზრდება მოთხოვნა მომავალ წლებში. საქართველოს ტერიტორიაზე არსებობს სულ რამოდენიმე თანალოკაციაზე სპეციალიზირებული ოპერატორი, მათ შორის არიან შპს „ქლაუდ ცხრა“, შპს „ნიუტელკო ჯორჯია“, სს „სილქნეტი“.

2.3 დომენური სახელის .ge ზონის ადმინისტრირება

ჯგუფი 20 წელზე მეტია ახორციელებს .GE ქვეყნის კოდის ზედა დონის დომენური სახელების ადმინისტრირებას. არსებული მონაცემებით დღეს .GE ზონაში რეგისტრირებული დომენური სახელების რაოდენობა 50 000-ს აღემატება.

2018 წელს კავკასუს ონლაინმა განახორციელა რეფორმა და დანერგა ქვეყნის კოდის ზედა დონის დომენის მართვისა და ადმინისტრირების ახალი მოდელი (რეგისტრატორი/ადმინისტრატორის მოდელი). რეფორმის წარმატება ეფუძნება შემუშავებული წესების, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაშია, სრულად დაცვას და ტექნიკურად გამართულ, დაცულ სისტემას, რაც თავის მხრივ იძლევა პოტენციალს, შეიქმნას ჯანსაღი კონკურენტუნარიანი ბაზარი და მოხდეს ამ სფეროს, როგორც ბიზნესის განვითარება.

2018 წლის 16 აპრილს გაშვებული განახლებული მოდელის ფარგლებში პროექტი თავდაპირველად კომპანიის შიდა (homemade) სისტემით (GOBS) ფუნქციონირებდა, რაც წარმოადგენდა არასტანდარტიზირებულ პროტოკოლს (API). პროექტის გარდამავალ პერიოდში, გაშვებიდან 10 თვის თავზე, სისტემა სრულად განახლდა და ფუნქციონირება დაიწყო სტანდარტიზირებული EPP პროტოკოლით.

2019 წლის 18 თებერვლიდან შესაძლებელი გახდა ადმინისტრატორ-რეგისტრატორის მოდელისთვის საერთაშორისო სტანდარტით აღიარებული პროგრამული სისტემის იმპლემენტაცია (EPP Protocol). შედეგად:

- შესაძლებელი გახდა უცხოელი რეგისტრატორების მოერთება;
- რეგისტრატორის პორტალის უზრუნველყოფა;
- განახლებული WHOIS მომსახურება;
- უსაფრთხოების სისტემის დახვეწა (LOCK).

2019 წლის განმავლობაში, ადმინისტრატორმა EPP Protocol-ით დაორგანიზებულ სისტემას ჩაუტარა შედევადობის (PEN) ტესტირება (Gray Box) და HP Fortify Code Analysis. გამოვლენილი ხარვეზები დამუშავდა მყისიერად. ტესტირების ეტაპები გავლილი იქნა წარმატებით.


2019 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, ანალიზისა და კონსულტაციის ჯგუფ „ეისითი“-სთან პარტნიორობით ადმინისტრატორმა ჩაატარა კვლევა დომენის რეგისტრანტების კმაყოფილების დასადგენად რეგისტრატორებთან მიმართებაში.

2019 წლის 1-ელ მარტს ადმინისტრატორმა ტენდერით შერჩეულ კომპანია „ალტერვეი“-სთან პარტნიორობით დაიწყო სარეკლამო კამპანია, რომელიც .GE ზონის ცნობადობის გაზრდის მიზნით მომხმარებლებში ცნობიერების ამაღლებას ემსახურებოდა.


შპს „კავკასუს ონლაინ“ და შვილობილი კომპანიები

3. შპს კავკასუს ონლაინის შიდა სტრუქტურა

შპს კავკასუს ონლაინის ორგანიზაციული სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგნაირად:



შპს „კავკასუს ონლაინ“ და შვილობილი კომპანიები



შპს „კავკასუს ონლაინ“ და შვილობილი კომპანიები

4. ჯგუფის მიერ განხორციელებული შემუშავებებისა და დაკვირვებების მიმოხილვა

2020 წელს ჯგუფი არ იყო ჩართული კვლევასა თუ შემუშავების აქტივობებში.

5. დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2020 წელს ჯგუფის მიერ არ მომხდარა აქციების შეძენა.

6. საკანონმდებლო და სხვა რეგულაციები

საკანონმდებლო და სხვა რეგულაციები

კავკასუს ონლაინის ჯგუფი წარმოადგენს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ავტორიზებულ პირს. კავკასუს ონლაინს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში („კომისია“) გავლილი აქვს ავტორიზაცია ელექტრონული კომუნიკაციების ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფისა და მომსახურების მიწოდების შემდეგ სახეობზე:

1. ადგილობრივი დაშვების (სადენიანი) ქსელითა და/ან (სადენიანი) ქსელის ტერმინალური საშუალებებით უზრუნველყოფა;
2. ადგილობრივი დაშვების (უსადენო) ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა;
3. ძირითადი საკომუნიკაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა;
4. მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემის სახაზო (სადენიანი) გატარების საშუალებებითა და/ან მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული (სადენიანი) სისტემების ტერმინალური საშუალებებით უზრუნველყოფა;
5. მაგისტრალური საკომუნიკაციო ციფრული სისტემის (უსადენო) გატარების საშუალებებით უზრუნველყოფა;
6. საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებით უზრუნველყოფა;
7. ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის ელემენტების გაფართოებული რესურსებით უზრუნველყოფა;
8. თანამგზავრული საკომუნიკაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა;
9. ფიქსირებული საკომუნიკაციო სისტემის აბონენტების სატელეფონო ხმოვანი კავშირით მომსახურება;
10. ინტერნეტ მომსახურება;
11. მონაცემთა გადაცემა.

კავკასუს ონლაინი ფლობს ნუმერაციის რესურსით სარგებლობის შემდეგ ნებართვას/ლიცენზიას კომისიის გადაწყვეტილებების საფუძველზე:

ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ნებართვა N319

ნუმერაციის რესურსი 706 600 XXX (სულ ათასი სააბონენტო ნომერი) VOIP - ინტერნეტ პროტოკოლით ხმოვანი სატელეფონო კავშირით მომსახურებისთვის და ამ ქსელების აბონენტების ტერმინალური მოწყობილობების იდენტიფიცირებისთვის, ავტორიზებული საქმიანობისთვის. ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ნებართვა კავკასუს ონლაინს მინიჭებული აქვს კომისიის N559/24 გადაწყვეტილების საფუძველზე. ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ნებართვა არის უვადო და ექვემდებარება ყოველწლიურ განახლებას.

ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ნებართვა N324

ნუმერაციის რესურსი: 1-7-0-0-6 (ერთი-შვიდი-ნული-ნული-ექვსი) ავტორიზებული საქმიანობისთვის, სატელეკომუნიკაციო მომსახურების უზრუნველსაყოფად. ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ნებართვა კავკასუს ონლაინს მინიჭებული აქვს კომისიის 725/24 გადაწყვეტილების საფუძველზე. ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ნებართვა არის უვადო და ექვემდებარება ყოველწლიურ განახლებას.

ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზია N26

ნუმერაციის რესურსი: 1-0-0-7 (ერთი-ნული-ნული-შვიდი) საქალაქთაშორისო და საერთაშორისო სატელეფონო კავშირის მომსახურების განსახორციელებლად. ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზია კავკასუს ონლაინს მინიჭებული აქვს კომისიის 725/24 გადაწყვეტილების საფუძველზე. ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზია მოქმედია 2022 წლის 20 იანვრამდე.

შპს „კავკასუს ონლაინი“ და შვილობილი კომპანიები

6. საკანონმდებლო და სხვა რეგულაციები (გაგრძელება)

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მოთხოვნებთან შესაბამისობა

2019 წელს „ნელგადო ლიმიტედში“ ხვიჩა მაქაყარიას კუთვნილი 31,230 აქციის (დაახლოებით 49%) ნასყიდობის ტრანზაქციის შესახებ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის („კომისია“) ინფორმირება კავკასუს ონლაინმა მას შემდეგ უზრუნველყო, რაც 2019 წლის აგვისტოს თვეში კომისიის მოთხოვნის საფუძველზე დამფუძნებლებისგან გამოითხოვა ინფორმაცია ბოლო ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ. კომისიის წინასწარი თანხმობის გარეშე „ნელგადო ლიმიტედის“ აქციების გასხვისება კომისიამ სამართალდარღვევად მიიჩნია და აღნიშნულთან დაკავშირებით კომისიას მიღებული აქვს შემდეგი გადაწყვეტილებები შპს „კავკასუს ონლაინისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ:

- 1) 2019 წლის 17 ოქტომბრის №გ-19-18/605 გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც კომისია დაადგინა შპს „კავკასუს ონლაინის“ მიერ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 19(2)(ა) და 19(2)(ბ) მუხლების, 26-ე მუხლის და კომისიის 2016 წლის 6 ოქტომბრის გადაწყვეტილების დარღვევა. 2019 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით კომისიამ შპს „კავკასუს ონლაინს“ მისცა გაფრთხილება და დაავალა სამართალდარღვევის აღმოფხვრა - შპს „კავკასუს ონლაინის“ წილის პირდაპირ და არაპირდაპირ 100% მფლობელ კომპანიაში „ნელგადო ლიმიტედში“ ფიზიკურ პირ ხვიჩა მაქაყარიას კუთვნილი წილის 49%-ის ფიზიკურ პირ ნასიბ ჰასანოვის შეძენამდე არსებული მდგომარეობის აღდგენის უზრუნველყოფა და დამადასტურებელი დოკუმენტაციის კომისიაში წარდგენა („ნასყიდობის ტრანზაქციის შებრუნება“);

კომისიის 2019 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება შპს „კავკასუს ონლაინმა“ გაასაჩივრა სასამართლო წესით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. დავა არის მიმდინარე.

- 2) 2019 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება №გ-19-18/697, როლის საფუძველზეც კომისიამ შპს „კავკასუს ონლაინს“ დააკისრა ჯარიმა 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით შპს „კავკასუს ონლაინის“ მიერ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 19(2)(ა) და 19(2)(ბ) მუხლების, 26-ე მუხლის, კომისიის 2016 წლის 6 ოქტომბრის და 2019 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებების დარღვევის საფუძველით. 2019 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებით კომისიამ კავკასუს ონლაინს განუსაზღვრა ვადა 2020 წლის 18 იანვრამდე რათა უზრუნველყო ნასყიდობის ტრანზაქციის შებრუნება.

კომისიის 2019 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება შპს „კავკასუს ონლაინმა“ გაასაჩივრა სასამართლო წესით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. დავა არის მიმდინარე.

- 3) 2020 წლის 6 თებერვლის №გ-20-18/87 გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც კომისიამ შპს „კავკასუს ონლაინს“ დააკისრა ჯარიმა 90 000 (ოთხმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით შპს „კავკასუს ონლაინის“ მიერ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 19(2)(ა) და 19(2)(ბ) მუხლების, 26-ე მუხლის, კომისიის 2016 წლის 6 ოქტომბრის, 2019 წლის 17 ოქტომბრის და 2019 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებების დარღვევის საფუძველით. 2020 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილებით კომისიამ კავკასუს ონლაინს განუსაზღვრა ვადა 2020 წლის 22 თებერვლამდე, რათა უზრუნველყო ნასყიდობის ტრანზაქციის შებრუნება.

კომისიის 2020 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილება შპს „კავკასუს ონლაინმა“ გაასაჩივრა სასამართლო წესით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. დავა არის მიმდინარე.

- 4) 2020 წლის 12 მარტის №გ-20-18/320 გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც კომისიამ შპს „კავკასუს ონლაინს“ დააკისრა ჯარიმა 270 000 (ორას სამოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით შპს „კავკასუს ონლაინის“ მიერ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 19(2)(ა) და 19(2)(ბ) მუხლების, 26-ე მუხლის, კომისიის 2016 წლის 6 ოქტომბრის, 2019 წლის 17 ოქტომბრის, 2019 წლის 12 დეკემბრის, 2020 წლის 6 თებერვლის გადაწყვეტილებების დარღვევის საფუძველით. 2020 წლის 12 მარტის გადაწყვეტილებით კომისიამ კავკასუს ონლაინს განუსაზღვრა ვადა 2020 წლის 1 მაისამდე, რათა უზრუნველყო ნასყიდობის ტრანზაქციის შებრუნება.

კომისიის 2020 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება შპს „კავკასუს ონლაინმა“ გაასაჩივრა სასამართლო წესით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. დავა არის მიმდინარე.

- 5) 2020 წლის 25 ივნისის №გ-20-18/527 გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც კომისიამ შპს „კავკასუს ონლაინს“ დააკისრა ჯარიმა 270 000 (ორას სამოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით შპს „კავკასუს ონლაინის“ მიერ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 19(2)(ა) და 19(2)(ბ) მუხლების, 26-ე მუხლის,

შპს „კავკასუს ონლაინი“ და შვილობილი კომპანიები

6. საკანონმდებლო და სხვა რეგულაციები (გაგრძელება)

კომისიის 2016 წლის 6 ოქტომბრის, 2019 წლის 17 ოქტომბრის, 2019 წლის 12 დეკემბრის, 2020 წლის 6 თებერვლის და 2020 წლის 12 მარტის გადაწყვეტილებების დარღვევის საფუძველით. 2020 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებით კომისიამ კავკასუს ონლაინს განუსაზღვრა ვადა 2020 წლის 1 აგვისტომდე, რათა უზრუნველყო ნასყიდობის ტრანზაქციის შებრუნება.

კომისიის 2020 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილება შპს „კავკასუს ონლაინმა“ გაასაჩივრა სასამართლო წესით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. დავა არის მიმდინარე.

- 6) 2020 წლის 20 აგვისტოს №გ-20-18/652 გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც კომისიამ შპს „კავკასუს ონლაინს“ დააკისრა ჯარიმა 270 000 (ორას სამოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით შპს „კავკასუს ონლაინის“ მიერ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 19(2)(ა) და 19(2)(ბ) მუხლების, 26-ე მუხლის, კომისიის 2016 წლის 6 ოქტომბრის, 2019 წლის 17 ოქტომბრის, 2019 წლის 12 დეკემბრის, 2020 წლის 6 თებერვლის, 2020 წლის 12 მარტის და 2020 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილებების დარღვევის საფუძველით. 2020 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით კომისიამ კავკასუს ონლაინს განუსაზღვრა ვადა 2020 წლის 20 სექტემბრამდე, რათა უზრუნველყო ნასყიდობის ტრანზაქციის შებრუნება.

კომისიის 2020 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილება შპს „კავკასუს ონლაინმა“ გაასაჩივრა სასამართლო წესით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. დავა არის მიმდინარე.

ნასყიდობის ტრანზაქციის შებრუნების მოთხოვნაზე კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების (№გ-19-18/60, №გ-19-18/697, N გ-20-18/87, N გ-20-18/320, №გ-20-18/527, №გ-20-18/652) აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით კომისიამ 2020 წლის 1 ოქტომბრის №გ-20-18/747 გადაწყვეტილებით დანიშნა სპეციალური მმართველი შპს „კავკასუს ონლაინში“.

2020 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილება შპს „კავკასუს ონლაინის“ აქციონერებმა „ნელგადო ლიმიტედმა“ და „ინთერნეიშენალ ონლაინ ნეთვორქს ლიმიტედმა“ გაასაჩივრეს სასამართლო წესით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. კავკასუს ონლაინი ჩართულია საქმეებში, როგორც სავალდებულო მოწვევის მესამე პირი.

2020 წლის 1 ოქტომბრის კომუნიკაციების ეროვნული კომისიის №გ-20-18/747 გადაწყვეტილებით შპს კავკასუს ონლაინში დანიშნა სპეციალური მმართველი - მარიამ სულაბერიძე.

- 7) კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილებით, 2021 წლის 15 აპრილს „კავკასუს ონლაინის“ სპეციალური მმართველი მარიამ სულაბერიძე თამარ ბოკუჩავამ შეცვალა.
- 8) 2021 წლის 20 მაისის კომუნიკაციების კომისიამ „კავკასუს ონლაინი“ სამართალდამრღვევად კიდევ ერთხელ სცნო და კომპანიას უკანონოდ გასხვისებული 100%-იანი წილის პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნება დაავალდებულა, რისთვისაც სამთვლიანი ვადა განუსაზღვრა, ხოლო ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლა.

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების თარიღისთვის ინფორმაცია აღნიშნულ მოთხოვნებთან დაკავშირებით არ არის განახლებული კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ვებ გვერდზე.

7. ჯგუფის სტრატეგია და მიზნები

კავკასუს ონლაინის და შვილობილი კომპანიების სტრატეგიას წარმოადგენს განავითაროს და უზრუნველყოს ევროპის უმსხვილეს დატაცებულთან სტაბილური და მაღალსიჩქარიანი პირდაპირი გლობალური ინტერნეტ კავშირი, რეგიონალურ ბაზრებზე არსებული ყველა ადგილობრივი და საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კომპანიებისათვის. რეგიონალური ბაზრების გაფართოების მიზნით მეზობელ ქვეყნებთან (სომხეთთან და აზერბაიჯანთან) დაინერგა და იგეგმება ახალი სატრანზიტო ქსელების მოწყობა რათა განხორციელდეს შუა აზიის (ირანის, ერაყის, ყაზახეთის) ქვეყნების მომარაგება ევროპული ინტერნეტით. გრძელვადიან დაგეგმარებაში კავკასუს ონლაინი ისახავს მიზნად მოახდინოს აბრეშუმის გზის დიჯიტალიზაცია.

პირველ ეტაპზე კავკასუს ონლაინმა და იუკომ არმენიამ დაასრულა 1 (ერთ) ტერაბიტის ქსელის მშენებლობა, რომელიც აკავშირებს ფრანკფურტის უმსხვილეს ინტერნეტ პროვაიდერებს და ირანის სატელეკომუნიკაციო კორპორაციას სომხეთ-ირანის საზღვარზე საქართველოს გავლით. ეს შეერთება იძლევა საშუალებას ირანის გავლით მოამარაგოს ინტერნეტით ახლო აღმოსავლეთის ბაზარი.

შპს „კავკასუს ონლაინ“ და შვილობილი კომპანიები

8. ჯგუფის ფინანსური მონაცემები

ათას ლარში

შემოსავლები	2020	2019	ცვლილება	
შემოსავალი ინტერნეტიდან და სხვა სატელეკომუნიკაციო მომსახურებებიდან	40,316	47,531	(7,215)	-15%
შემოსავალი ფინანსური იჯარიდან	-	785	(785)	-100%
შემოსავალი ადგილობრივი და საერთაშორისო ზარების ტერმინაციიდან და ტრანზიტიდან	617	168	449	267%
შემოსავალი კოლოკაციის მომსახურებებიდან	1,205	1,048	157	15%
შემოსავალი დომეინის მომსახურებებიდან	1,195	1,094	101	9%
სხვა	250	254	(4)	-2%
სულ შემოსავლები	43,583	50,880	(7,297)	-14%

მომსახურების თვითღირებულება	2020	2019	ცვლილება	
ინტერნეტის და ინტერნეტის ტრანზიტის ხარჯი	(13,420)	(11,767)	(1,653)	14%
საერთაშორისო და ადგილობრივი ზარების ტერმინაციის და ტრანზიტის ხარჯი	(638)	(201)	(437)	217%
კოლოკაციის მომსახურების ხარჯი	(31)	(17)	(14)	82%
E1-E3 არხის იჯარის ხარჯი	(928)	(767)	(161)	21%
სხვა	(141)	(140)	(1)	1%
მომსახურების თვითღირებულება	(15,158)	(12,892)	(2,266)	18%

ჯგუფი ძირითადად შემოსავლებს იღებს შემდეგი მომსახურებებიდან:

- საბითუმო ინტერნეტი
- დომენური სახელები
- თანალოკაციის ფართები
- საერთაშორისო სატელეფონო ტრანზიტი
- სხვა შემოსავლები

შპს კავკასუს ონლაინის ჯგუფის 2020 წლის შემოსავლები 2019 წელთან შედარებით არის 14%-ით შემცირებული. შემცირება ძირითადად არის განპირობებული საბითუმო ინტერნეტზე ფასების ვარდნით, რაც არ კომპენსირდება მოცულობის ზრდით. გლობალური ინტერნეტის ფასების შემცირება მსოფლიოში არსებული ტენდენციაა.

საერთაშორისო სატელეფონო ტრანზიტიდან მიღებული შემოსავალი გაიზარდა დაახლოებით 3-ჯერ. ასევე აღინიშნება შემოსავლების ზრდა თანალოკაციის იჯარიდან, გარდა ამისა გვაქვს 9%-იანი ზრდა დომეინის მომსახურებიდან მიღებულ შემოსავალში, რაც ძირითადად განაპირობა ადმინისტრატორ-რეგისტრატორის მოდელისთვის საერთაშორისო სტანდარტით აღიარებული პროგრამული სისტემის იმპლემენტაციამ (EPP Protocol) და გაზრდილმა მოთხოვნამ.

რაც შეეხება ინტერნეტის და ინტერნეტის ტრანზიტის ხარჯებს, ის არის გაზრდილი 14% -ით. ძირითადი მიზეზი არის ეროვნული ვალუტის გაუფასურება უცხოურ ვალუტასთან მიმართებით, რამაც გამოიწვია თვითღირებულების გაზრდა. ასევე მნიშვნელოვანი ზრდაა E1-E3 არხის იჯარის შემთხვევაშიც, რაც ასევე კურსთაშორის სხვაობისა და არხების დამატებით არის გამოწვეული.

შპს „კავკასუს ონლაინ“ და შვილობილი კომპანიები

8. ჯგუფის ფინანსური მონაცემები (გაგრძელება)

ჯგუფის ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

N.	კოეფიციენტი	2020	2019
1	მიმდინარე ლიკვიდობა	54%	77%
2	სწრაფი ლიკვიდობა	53%	75%
3	ROE	-79%	-25%
4	ROA	-8%	-5%
5	Debt ratio	21%	20%
6	EBITDA	5,256	20,007

ცხრილში წარმოდგენილი კოეფიციენტების დათვლილია შემდეგნაირად:

მიმდინარე ლიკვიდობა = მიმდინარე აქტივები/მიმდინარე ვალდებულებები

სწრაფი ლიკვიდობა = (მიმდინარე აქტივები - მარაგები)/მიმდინარე ვალდებულებები

ROE = (წმინდა მოგება/ზარალი)/კაპიტალი

ROA = (წმინდა მოგება/ზარალი)/ჯამური აქტივები

Debt ratio = მიღებული სესხები/ჯამური აქტივები

EBITDA = შემოსავალი - საოპერაციო ხარჯები

ლიკვიდობის კოეფიციენტი

2020 წლის ლიკვიდობის კოეფიციენტი წინა წელთან შედარებით შემცირებულია. შემცირება უმეტეს წილად განპირობებულია იმით, სესხი საფინანსო ინსტიტუტისგან - სს თიბისი ბანკისგან მიღებული სესხით. ბანკთან დადებული სასესხო ხელშეკრულების მიხედვით, ჯგუფს მოეთხოვება სხვადასხვა კოვენანტების დაკმაყოფილება, რომლებსაც ვერ აკმაყოფილებს. აღნიშნული შესაძლოა გახდეს სასესხო ვალდებულების დაუყოვნებლივ მოთხოვნის საფუძველი გამსესხებლის მხრიდან. ამიტომ, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სასესხო ვალდებულების ნაშთი მთლიანად წარდგენილია, როგორც მოკლევადიანი, რამაც მნიშვნელოვნად გააუარესა ლიკვიდობის კოეფიციენტი წინა პერიოდთან შედარებით.

ROE და ROA

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ROE და ROA-ს კოეფიციენტის მაჩვენებელი არის უარყოფითი, რომლის მიზეზიც არის წლის ბოლოს ჯგუფის ბალანსზე არსებული წმინდა ზარალი. ზარალი გამოწვეულია შემოსავლების მნიშვნელოვანი შემცირებით, რაც თავისთავად განპირობებული იყო ჯგუფის სატარიფო მაჩვენებლის კლებით.

Debt ratio

Debt ratio ზრდა 20%-დან 21%-მდე ლოგიკურია, რადგან 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ჯამური ვალდებულებები, წინა წლის 31 დეკემბრის მდგომარეობასთან შედარებით დაახლოებით 3 მილიონი ლარით არის გაზრდილი, რისი ძირითადი მიზეზიც არის ეროვნული ვალუტის გაუფასურება უცხოურ ვალუტასთან მიმართებით

EBITDA

EBITDA-ს შემცირების მიზეზები განხილულია ზემოთ შემოსავლებისა და ხარჯების ცვლილებების ნაწილში.

შპს „კავკასუს ონლაინ“ და შვილობილი კომპანიები

9. ჯგუფის ძირითადი რისკები

ტელეკომუნიკაციის ბაზრის სპეციფიკიდან გამომდინარე, რელევანტურია შემდეგი სახის რისკები:

ინდუსტრიული რისკი

საბითუმო IP მონაცემების ტრანზიტის ინდუსტრია წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მაღალ კონკურენტულ, დინამიურ სეგმენტს, სადაც კაპიტალური დაბანდება ხორციელდება გრძელვადიანი პერსპექტივით, მოითხოვს დიდ ინვესტიციებს და ამასობაში ტექნოლოგიურად არის მაღალ რისკიანი.

ყოველ სამ-ხუთ წელიწადში ტექნოლოგიური შესაძლებლობები ორმაგდება და შესაბამისად უარყოფითად აისახება ინტერნეტ ტრანზიტის ფასწარმოქმნაზე. ყოველწლიური ფასის ვარდნა 1 მბწ -ზე საშუალოდ არის -20-30%. ფასების შემცირება კომპენსირდება დამატებითი მოთხოვნით ახალ მოცულობებზე და განაპირობებს ნაზარდ ინვესტიციებს დაბალი უკუგებით. გარდა ამისა მაღალი საინვესტიციო ბარიერის და საერთაშორისო ბაზარზე რეგულაციების არ არსებობის გამო, კომპანიებს დაწესებული აქვთ კონკურენტული ფასები, შედეგად კომპანიები ზარალდებიან და ცდილობენ სხვა სატელეკომუნიკაციო მომსახურების ხარჯზე დააკომპენსირონ ზარალი. კავკასუს ონლაინს 2016 წლის 1 აგვისტოდან არ გააჩნია სხვა მსხვილი მოცულობის სატელეკომუნიკაციო სერვისები რის ხარჯზეც მოახდენდა ზემოთ ხსენებული რისკების დივერსიფიკაციას.

საოპერაციო რისკები

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ჯგუფი მოღვაწეობს ბიზნესში, რომელიც საჭიროებს მუდმივ და მვირადღირებულ ტექნოლოგიურ ინვესტიციებს. ზღვის და სახმელეთო კაბელის ინფრასტრუქტურა და მვირადღირებული აპარატურა მუდმივად საჭიროებს მონიტორინგს და საჭიროების შემთხვევაში მყისიერ შეკეთებას. ჯგუფის მთელი ქონება დაზღვეულია თიბისის დაზღვევაში.

შავი ზღვის კაბელი დამატებით გადაზღვეულია ხმელთაშუა ზღვის აუზის ორგანიზაციის მეკმას წევრობით, რომელიც უზრუნველყოფს სპეციალური გემის ადგილზე მაქსიმუმ ერთ კვირაში მოსვლას წყალქვეშა კაბელის ან აპარატურის დაზიანებისას.

სატელეკომუნიკაციო აპარატურა ჯგუფს მოეწოდება ძირითადად სამი მომწოდებლისგან: საბკომი (ყოფილი ტაიკო), სიენა და სისკო. შესაბამისად, სამივე კომპანიასთან კავკასუს ონლაინს აქვს გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულებები, რომლის მიხედვითაც მყისიერად ხდება აპარატურასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრა და საჭიროების შემთხვევაში შეკეთება/გამოცვლა.

ჯგუფის არაფინანსური მაჩვენებლები წინამდებარე დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი, რადგან აღნიშნული მაჩვენებლების წარმოდგენა არ იძლევა დამატებით სასარგებლო ინფორმაციას ჯგუფის საქმიანობისა და მდგომარეობის გასაგებად.

ჯგუფის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

შპს „კავკასუს ონლაინ“ და შვილობილი კომპანიები

10. კავკასუს ონლაინის და შვილობილი კომპანიების თანამშრომლები

2020 წლის ბოლოს ჯგუფში დასაქმებული იყო 143 ადამიანი. ჯგუფში, სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე უფრო მეტი მამაკაცია დასაქმებული, ვიდრე ქალი. აღსანიშნავია, რომ ქალთა რაოდენობა ჯგუფის მენეჯმენტსა და საკვანძო თანამდებობებზე საკმაოდ მაღალია.

თანამშრომელთა რაოდენობა ორგანიზაციული მიმართულებების მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად:

მიმართულებები	2020	2019
ადმინისტრაციული	64	73
კომერციული	7	9
ტექნიკური	72	88
	143	170

ჯგუფში შემუშავებულია ინსტრუქციები და პროცედურები, რომლებიც ემსახურება მას საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების აღმოფხვრას, შემცირებასა და კონტროლში.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 14 ივლისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

რ. კოპალაძე

დირექტორის მოადგილე

ვ. მღებრიანი

შპს „კავკასუს ონლაინ“ და შვილობილი კომპანიები

10. კავკასუს ონლაინის და შვილობილი კომპანიების თანამშრომლები

2020 წლის ბოლოს ჯგუფში დასაქმებული იყო 143 ადამიანი. ჯგუფში, სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე უფრო მეტი მამაკაცია დასაქმებული, ვიდრე ქალი. აღსანიშნავია, რომ ქალთა რაოდენობა ჯგუფის მენეჯმენტსა და საკვანძო თანამდებობებზე საკმაოდ მაღალია.

თანამშრომელთა რაოდენობა ორგანიზაციული მიმართულებების მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად:

მიმართულებები	2020	2019
ადმინისტრაციული	64	73
კომერციული	7	9
ტექნიკური	72	88
	143	170

ჯგუფში შემუშავებულია ინსტრუქციები და პროცედურები, რომლებიც ემსახურება მას საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების აღმოფხვრას, შემცირებასა და კონტროლში.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 14 ივლისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



რ. კოჰალაძე

დირექტორის მოადგილე



ვ. მღებრიანი